140
1953/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

10
ოქტომბერი
1953

ეროვნული ბიბლიოთეკა




მხატვარ შალვა ცხადაძის პლაკატი „ჩვენი ვალია ვისწავლოთ ფრიადზე!“
პლაკატი მოსკოვში გამოსცა გამომცემლობა „ისკუსტვომ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა


# პიონერი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 10
ოქტომბერი, 1953 წ.
წელიწადი XXVII





6604

## ახალგაზრდობის ფესტივალზე

ბუქარესტში არის ახლა,
ნატვრა ახდა ახალგაზრდის.
ძმები საზღვარგარეთელი
გაიცნო და მათთან დადის.

ნახა ძმები კორეელი,
ჩინელები და ზანგები.
იყო მათი გამოხედვა
მისახვედრი, გასაგები.

ალჟირელნი, მალაელნი,
ინდოელნი და არაბნი
ულიმოდნენ შორიდანვე,
როგორც სიყრმის ამხანაგნი.

ქართველს თეთრი ჩოხა ეცვა,
უხდებოდა წუღა-მესტი.
დიდი რუსი ხალხის შვილებს
ტაშს უკრავდა ბუქარესტი.

ბოლოს, როცა დიდ დარბაზში
გაჩნდა იგი ქართულ ცეკვით,
დიდხანს; დიდხანს ქუხდა ტაში,
მას უმზერდნენ გატაცებით.

მორჩა ცეკვა, შეწყდა ცეკვა
ცეცხლადქცეულ ვაჟკაცისა
და გრუხუნით ტაში მოწყდა,
ვით სალუტი ზარბაზნისა.

ამოენთო, აზრიალდა
მის თვალებში ცეცხლის ალი.
ზეიმობდა განა მარტო
ბუქარესტის ფესტივალი!

ზეიმობდა სიყვარული,
მეგობრობის ყადრი, ძმობა,
ზეიმობდა თვით სიცოცხლე,
სიჭაბუკე და მშვიდობა.

ოთარ ჭელიძე

საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მშვიდობა და მეგობრობა

ახალგაზრდობას მსოფლიოს სიჭაბუკეს უწოდებენ. აურაცხელია მისი შემოქმედებითი ძალა და ენერგია, დაუშრეტელია მისი უნარი და ლტოლვა უკეთესი მერმისისათვის, მშვიდობისა და მეგობრობისათვის, ხალხთა ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის... ეს მათი საბრძოლო ლოზუნგია. ამ ლოზუნგით გაეშურნენ მსოფლიოს ათობით ქვეყნის ჭაბუკები და ქალიშვილები ბუქარესტისაკენ — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV მსოფლიო ფესტივალზე, მშვიდობისა და მეგობრობის ამ დიად დღესასწაულზე.

რუმინეთის დედაქალაქში ფესტივალისათვის ყველაფერი მზად იყო. რესპუბლიკის ახალგაზრდებმა, მშრომელებმა საზეიმოდ მორთეს მოედნები და ქუჩები, პარკები და ხეივნები. ეროვნული დროშებით დაამშვენეს ისინი. ააშენეს კულტურისა და სპორტის ახალი პარკი გრანდიოზული სტადიონით, მუსიკალური და საზაფხულო თეატრები, კინოთეატრები. ბაღებსა და სკვერებში ასეული ათასობით ყვავილი დარგეს.

... დადგა 2 აგვისტო. 16 საათზე სტადიონზე ასი მესაყვირე გამოჩნდა. მესაყვირეებმა პარადის დაწყების ნიშანი მისცეს. დროშების ტევრში გამოჩნდნენ ახალგაზრდები, რომლებსაც სიმღერით მოჰყვებიან ეროვნულ კოსტუმებში გამოწყობილი 106 ქვეყნის ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

გრიალებდა ტაში. ხალხი გულთბილად ესალმებოდა დიდი ჩინეთის დელეგატებს, კორეის გმირ შვილებს, მხურვალედ ეგებებოდა საბჭოთა კავშირის ბედნიერ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს...

28 ათასი ახალგაზრდა მონაწილეობდა ამ პარადში. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV მსოფლიო ფესტივალი გახსნილად გამოცხადდა, ყველა ფეხზე ადგა. ქუხდა დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნი. ცაში დაფარფატებდნენ თეთრი მტრედები — მშვიდობისა და მეგობრობის სიმბოლო.

ასე დაიწყო ფესტივალი.

— ფესტივალი! — ეს ყველაზე გავრცელებული სიტყვა იყო ამ დღეებში. სიამაყის გრძნობით წარმოთქვამდნენ მას და სიხარულის ჟრუანტელი უვლიდათ ძარღვებში სხვადასხვა ქვეყნის ჭაბუკებსა და ქალიშვილებს.

ფესტივალი! — ეს სიტყვა როგორც პაროლი, ისე ხსნიდა ადამიანთა გულებს და წუთის წინ უცნობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდები უმალ მეგობრდებოდნენ, გულთბილად უზიარებდნენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს.

ბუქარესტში დილიდან გვიან საღამომდე ისმოდა მუსიკის მელოდიური ჰანგები. მღეროდნენ, ცეკვავდნენ მსოფლიოს ყოველი კუთხის წარმომადგენლები. მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა მხატვრული კონკურსი და სპორტული შეჯიბრებები, დელეგაციების შეხვედრები.

ბუქარესტის ფესტივალს მშვიდობისა და მეგობრობის ფესტივალს უწოდებდნენ. აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ და მეგობრობას ამყარებდნენ ყოველი ქვეყნის ახალგაზრდები: ბრაზილიელები სტუმრად იწვევდნენ შვედებს, ბერძნები—ინდოელებს... სწრაფად პოულობდნენ ისინი საერთო ენას—მეგობრობის ენას.

საღამოს რესპუბლიკის მოედანზე შეიკრიბნენ 106 ქვეყნის დელეგატ ქალთა კოლონები. აქედან ისინი გაემართნენ სტალინის სახელობის პარკისაკენ, რომლის საზაფხულო თეატრში გაიმართა მიტინგი, შემდეგ თავიანთი ხელოვნება უჩვენეს ახალგაზრდა რუმინელმა და საბჭოთა მსახიობებმა.

მომხიბლავი იყო სტალინის სახელობის მოედანზე რუმინეთის დედაქალაქის ახალგაზრდობის სამასათასიანი დემონსტრაცია, რომელიც IV ფესტივალს მიეძღვნა. ტრიბუნაზე იყვნენ ფესტივალის მონაწილენი, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პრესის წარმომადგენლები, ცენტრალურ ლოჟაში—რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წევრები, მუშათა პარტიის ხელმძღვანელები, დელეგაციათა მეთაურები და სხვ. შეკრებილთ სიტყვით მიმართა რუმინეთის მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვასილე მუშატმა. დემონსტრაციის დასასრულ მრავალათასიანი კოლექტივი აღტაცებით მღეროდა დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნს.

ბუქარესტის პიონერთა სასახლეში, სადაც წინათ მეფე ცხოვრობდა, პედაგოგიკური ფაკულტეტის სტუდენტები შეხვდნენ აზიის, ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალგაზრდა მასწავლებლებს. აქ სტუმრები გაეცნენ პიონერთა სასახლის 455 ტექნიკური, სამეცნიერო, მხატვრული, მომღერალთა, სპორტული და სხვა წრეების მუშაობას.

გამოფენაზე, სადაც ასახული იყო ახალგაზრდობის ცხოვრება,—კაპიტალისტური, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ჭაბუკები და ქალიშვილები ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ, თუ რა დიდი მზრუნველობით არიან გარემოსილი მშრომელები საბჭოთა კავშირში, ჩინეთში, რუმინეთსა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში.

ფესტივალზე მსოფლიოს ახალგაზრდობამ ერთხმად აღიმაღლა ხმა: ბოლო მოეღოს ხალხთა დამონებას, რომ კოლონიური ქვეყნების ახალგაზრდობას ჰქონდეს ბედნიერი და თავისუფალი ცხოვრების უფლება.

მეგობრული შეხვედრების შემდეგ, საღამოს, როცა ქალაქზე ბინდი ჩამოწვებოდა, თეატრებსა და დარბაზებში, ღია ესტრადებზე ფესტივალის მონაწილენი—სხვადასხვა ერის შვილები გამოდიოდნენ საერთაშორისო და ნაციონალური საკონცერტო პროგრამებით. ეს გამოსვლები უდიდეს ინტერესს იწვევდა. დარბაზები ვერ იტევდნენ დასწრების ყველა მსურველს. ათასობით ადამიანი იყრიდა თავს მოედნებზე, სადაც სპეციალური ესტრადები იყო აგებული.

სახელმწიფო ოპერის თეატრის ლამაზ შენობაში გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის მხატვრული ჯგუფი. აქ თავი მოიყარეს ათობით ქვეყნის ახალგაზრდული დელეგაციების წარმომადგენლებმა, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციისა და სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა, მშვიდობისათვის მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწეებმა, სახალხო რესპუბლიკებისა და სხვა ქვეყნების მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკებმა. კონცერტს დაესწრნენ რუმინეთის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე პეტრუ გროზა, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები გ. გეორგიუდეჟის მეთაურობით, აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წევრები.

დიდი წარმატებით ჩატარდა კონცერტი.

«ამ კონცერტმა,—წერს გაზეთი «სკინტეია», —აჩვენა საბჭოთა ანსამბლებისა და სოლისტების განსაკუთრებით დიდი მხატვრული ოსტატობა. ახალგაზრდა მსახიობების მიერ ბრწყინვალედ იქნა დემონსტრირებული საბჭოთა ხელოვნების აყვავება, საბჭოთა ხალხების დიდი მუსიკალური და ქორეოგრაფიული ტრადიციების შემოქმედებითი განვითარება».

კონკურსმა გამოავლინა აგრეთვე ხელოვნებისა და კულტურის განუხრელი ზრდა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

ბუქარესტში მრავალი კეთილმოწყობილი სტადიონი, სპორტული მოედანი და საწყლოსნო სადგურია. ფესტივალის მიმდინარეობის პერიოდში ისინი მსოფლიოს 54 ქვეყნის სპორტსმენთა განკარგულებაში იყო. ორი კვირის განმავლობაში სარბენ ბილიკებზე, ფეხბურთის მოედანზე, სპორტდარბაზებში, ტბაზე, რომელიც გარშემორტყმულია უმშვენიერესი ტყით, თავის ძალას, სიმარდესა და გამძლეობას აჩვენებდა ოთხი ათასზე მეტი სპორტსმენი.

ახალგაზრდობის საერთაშორისო სპორტული



გმირი კორეელი ახალგაზრდობის დელეგაცია ფესტივალზე

შეჯიბრებები,—ეს ყველაზე გრანდიოზული შეჯიბრება იყო ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშობათა შემდეგ. აქ დამყარებულ იქნა მსოფლიო და ევროპის რამდენიმე რეკორდი, აგრეთვე 50-ზე მეტი ნაციონალური რეკორდი. ამ შეჯიბრებებში შესანიშნავი ოსტატობა გამოავლინეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მათი გამოსვლები ყოველთვის მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყო.

თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც 17 სახელმწიფოს 67 სპორტსმენი მონაწილეობდა, საბჭოთა მოჭიდავეებმა საიადოვმა, გიგიაძემ, ბალავაძემ, ენგლასმა და მეკოკიშვილმა მოიპოვეს ოქროს მედლები. წარმატებით გამოვიდნენ აგრეთვე საბჭოთა ფრენბურთელები, კალათბურთელები, წყალბურთელები...

საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებები დამთავრდა საბჭოთა ფიზკულტურელების თვალსაჩინო გამარჯვებით. ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებმა მოიპოვეს 333 მედალი, აქედან 202 ოქროსი.

16 აგვისტოს დამთავრდა IV მსოფლიო ფესტივალი — მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობის დღესასწაული.

საღამოს შედგა ფესტივალის ყველა დელეგაციის საზეიმო დემონსტრაცია. 28 მარტის მოედანზე თავი მოიყარა 160 ათასზე მეტმა კაცმა. ფესტივალის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ტრიბუნაზე ფრანგი ხალხის სახელოვანი შვილის მშვიდობისათვის მამაცი მებრძოლის ანრი მარტენის გამოჩენას.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტმა ბრუნო ბერნინიმ.

— იმ მომენტში, როდესაც ჩვენ ვტოვებთ ბუქარესტს, — თქვა მან, — რათა შინ დავბრუნდეთ, ჩვენს წინაშე ახალი ამოცანები იბადება... ამ ამოცანების შესრულებისათვის ახალგაზრდობას შეუძლია და კიდევაც უნდა გაერთიანდეს, თუ მას სურს მოიპოვოს უკეთესი მომავალი. თითოეულ ქვეყანაში, თითოეულ სოფელში, თითოეულ ქარხანასა და სკოლაში—ყველგან ახალგაზრდების რიგებში უნდა დავნერგოთ მშვიდობისა და მეგობრობის სულისკვეთება, რომელიც ჩვენ აღგვაფრთოვანებდა ამ დღეებში.

ბრუნო ბერნინიმ წაიკითხა მსოფლიოს ახალგაზრდობისადმი მიმართვის ტექსტი. საზეიმოდ აჟღერდა დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნი. ცაში აიჭრნენ ათასფერადი შუშხუნები. თვალუწვდენი მოედანი შუქურებმა გადაანათეს. მათს სინათლეზე ფესტივალის მონაწილეთა ხელების ტყე აღიმართა და დაიგუგუნა მსოფლიოს 111 ქვეყნის ახალგაზრდობის ფიცის მედგარმა ხმამ:

— დაუღალავად ვიბრძოლოთ მშვიდობის, მეგობრობისა და ახალგაზრდა თაობის ბედნიერი მომავლისათვის!

ახლა, დაბრუნდნენ რა თავიანთ მშობლიურ ქვეყნებში, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV მსოფლიო ფესტივალის მონაწილენი თავიანთ თანამემამულეებს აღტაცებით მოუთხრობენ როგორ გაატარეს ბუქარესტში, ერთიან ძმურ ოჯახში ორი კვირა; მოუთხრობენ თუ როგორ დააკავშირა სხვადასხვა ქვეყნის შვილები ორმა უძლეველმა სიტყვამ, და გატაცებით, სიხარულით იმეორებენ მათ:

«მშვიდობა და მეგობრობა!»

ეს ორი სიტყვა, როგორც ესტაფეტა, ყველა ადამიანს გადაეცემა მსოფლიოს ყოველ კუთხეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეგობრობის დღესასწაულზე

**ნინო რამიშვილი,**
**ილიკო სუხიშვილი,**
საქართველოს სსრ სახალხო არტისტები, სტალინური პრემიისა და დემოკრატიული ახალგაზრდობის IV მსოფლიო ფესტივალის ლაურეატები.

ბუქარესტში, დემოკრატიული ახალგაზრდობის მე-4 მსოფლიო ფესტივალზე გამართულ კონკურსში საბჭოთა ახალგაზრდობამ მიიღო საერთაშორისო ჟიურის მაღალი შეფასება და მხურვალე ქება დაიმსახურა შესრულების მაღალი კულტურის, სრულყოფილი ტექნიკისა და, რაც მთავარია, შესრულებულ ნაწარმოებთა შინაარსის ღრმა გაახრებისათვის. საბჭოთა კავშირის წარგზავნილებმა ერთხელ კიდევ უჩვენეს მთელ მსოფლიოს საბჭოთა ხელოვნების ტრადიციების და ოსტატობის უპირატესობა.

ჩვენს ანსამბლს წილად ხვდა გამოსვლა 5 აგვისტოს. ამ დღეს ერთმანეთს ეჯიბრებოდა მრავალი ანსამბლი. ჩვენი მსახიობები უნდა გამოსულიყვნენ ჩინელ მოცეკვავეთა შემდეგ. მათი ნახვის სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ ჩვენ კულისებიდან აღტაცებით ვადევნებდით თვალყურს ჩინელ მოცეკვავეთა მაღალ ოსტატობას.

კონკურსის პირობების მიხედვით თითოეულ შემსრულებელს ევალებოდა ეჩვენებინა ორი ან სამი ნომერი, რომელთაც თვითონ ამოირჩევდა. ჩვენ პროგრამაში შევიტანეთ ცეკვა „შეჯიბრება“ და „მხედრული“. ეს ცეკვები შემთხვევით არ ამოგვირჩევია. „შეჯიბრებაში“ მონაწილეობს 9 ვაჟი, რომლებიც, თითქოს ცდილობენ ერთმანეთს აჯობონო, ასრულებენ სხვადასხვა ცეკვას. ამით უცხოელი მეგობრებისათვის შეგვეძლო გვეჩვენებინა ქართული ცეკვების მთელი მრავალფეროვნება.

როდესაც ჩვენი ანსამბლის გამოსვლა გამოაცხადეს, მაყურებელთა დარბაზში ტაშმა იგრიალა. პროგრამის წამყვანი იძულებული იყო მოეგონებინა დამსწრეთათვის რომ „კონკურსი კონცერტი არ არის, რომ იქ ტაში დაუშვებელია“. დროებით შეჩერებულმა ტაშმა ახალი ენერგიით იჭექა, როცა ჩვენი ანსამბლის ყველაზე ახალგაზრდა მოცეკვავე თენგიზ სუხიშვილი „მხედრულ“ ცეკვაში ასრულებდა თავის სოლო-ეპიზოდს. ჩვენი მოცეკვავეები რვაჯერ გამოიძახეს. დამსწრეთა მოთხოვნით და ჟიურის ნებართვით მათ გაიმეორეს თავიანთი ნომრები, რაც ერთადერთი შემთხვევაა საერთაშორისო საკონკურსო გამოსვლათა პრაქტიკაში.

საკონკურსო გამოსვლა შედგა დღისით, ხოლო იმავე საღამოს ჩვენმა ანსამბლმა იცეკვა ესტრადაზე, რომელიც სპეციალურად ფესტივალისათვის იყო აგებული თავისუფლების მოედანზე და 50 ათას მაყურებელს იტევდა. აქ ჩვენი მსახიობები მაყურებელთა წინაშე წარსდგნენ მრავალფეროვანი პროგრამით, რომლიდანაც განსაკუთრებული წარმატება ხვდა „ქართულს“, „რამაიდას“, „ცერულს“, „შეჯიბრებას“ და „მხედრულს“.

სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენი ანსამბლის გამოსვლები მუდამ უდიდეს ინტერესს იწვევდა. დიდი დარბაზები, სადაც ცეკვავდნენ ჩვენი მსახიობები, ყოველთვის ხალხით იყო გაჭედილი. ცეკვის უმრავლესობას რამდენჯერმე გვამეორებინებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ანსამბლი ყოველდღე მართავდა კონცერტებს, ვცდილობდით გამოგვენახა დრო და გვენახა ყოველივე, რაც კი ხდებოდა ფესტივალზე. ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება, გვენახა ცეკვა, რომელსაც 1.500 წლის ისტორია აქვს. ეს ცეკვა შეასრულა მშვენიერმა ინდრანი რახმანმა — ჰიმალაის კალთებზე მდებარე ქვეყნის ქალიშვილმა.

12 აგვისტოს, საღამოს სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართა ჟიურის და ფესტივალის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენელთა მიერ მხატვრული კონკურსების ლაურეატებისათვის პრემიების გადაცემა. დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის მდივანმა მალკოლმ ნიქსონმა გამოაქვეყნა ლაურეატების სია, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ჟაკ დენიმ გადასცა პრემიები კონკურსში გამარჯვებულებს. ჩვენი ანსამბლი უსაზღვროდ ბედნიერია იმით, რომ ასეთ პასუხსაგებ ასპარეზობაზე მან მიიღო პირველი პრემია, ოქროს მედალი და ლაურეატის საპატიო წოდება. ფესტივალის ლაურეატის საპატიო წოდება დაიმსახურა აგრეთვე მომღერალმა ტატიანა მახარაძემ.

დემოკრატიული ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეოთხე მსოფლიო ფესტივალი იყო მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ფესტივალი. აქ ერთხელ კიდევ გამოვლინდა მსოფლიო ხალხებისა და ახალგაზრდობის მტკიცე მისწრაფება მთელს მსოფლიოში ხანგრძლივი მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ალექსანდრე აბაშელი

# ფ რ თ ე ბ ი

ახალგაზრდებო, თქვენ რომ გიცქერით,
მშორდება ზამთრის ნაიარევი,
ვდგავარ უსიტყვოდ და გულისძგერით
მე თქვენს გაზაფხულს ვეზიარები.

და მინდა მაშინ ვიმღერო ისე,
ისეთი გზნებით და მღელვარებით,
რომ თქვენს ოცნებას სალამი მივცე,
შევაღო თქვენი გულის კარები.

და თუ შევძელი თქვენს გულში კითხვა,
ისეთი ჰანგის მონახვა მინდა,
რომ იყოს ლექსის ყოველი სიტყვა
თქვენი გულივით სუფთა და წმინდა.

რომ თქვენთან დარჩეს იგი ბოლომდის,
როგორც სიმღერა გულს ჩარჩენილი,
და ამართლებდეს ის თქვენს მოლოდინს,
მუდამ თბილი და სხივდაფენილი.

ყოველთვის, როცა თქვენს შორის ვდგავარ,
მოხუცს ძალღონე მიათკეცდება,
მეც ახალგაზრდა მომღერალს ვგავარ,
ოცნებას ფრთები არ ეკეცება.

ბრწყინავს ჩვენი დღე სინათლით სავსე,
თქვენ უფრო ნათელ დილას მოელით.
ეს თქვენი მზეა სამშობლოს ცაზე,
ბედნიერების სხივთა მთოველი.

და თქვენც სიმღერით წინ მიიჩქარით,
გინდათ იხილოთ სივრცე ახალი.
უკვე გამოჩნდა ოქროს ჭიშკარი,
უფრო კაშკაშა, უფრო მაღალი.

გაშალეთ ფრთები, მწვერვალსაც ნახავთ,
დღეს ცა და მიწა ორივ თქვენია.
ასე თამამად და ასე ლაღად
ქვეყნად არავის არ უფრენია.

ჰაერს გაარღვევს სიმღერის ხმები,
თვალები სხივით აივსებიან.
ახალგაზრდებო, ასეთი ფრთები
მფრინავს ზღაპარშიც არ ღირსებია!

არჩილ სულაკაური

# კომკავშირში მიღება

ომი... დღეები მისდევდნენ დღეებს,
მთებმა ღრუბლები მხრებზე მოისხეს...
თოვდა. უბეში ვითბობდით ხელებს,
მივაბიჯებდით რაიკომისკენ.
ვიგრძენით გულის ძლიერი ფეთქვა,
ვუმზერდით დიდი შენობის კარებს.
ჩვენ რაიკომში შევედით მედგრად,
ჩვენი ბავშვობა დავტოვეთ გარეთ.
მდივნის ოთახში გვიხმობდნენ თითოს...
ვღელავდი, ძლიერ მითრთოდა ბაგე.
მდივანთან ყველა შევიდა, თითქოს
მე მომიტოვეს ბოლოსთვის განგებ.
მიხმეს და... იყო მრისხანე ჟამი,
მთების გადაღმა ჰქუხდნენ ბრძოლები...
უცებ დავხუჭე თვალები წამით
და ჩემ წინ ცოცხლად დადგა ოლეგი.
იდგა ოლეგი, როგორც ცოცხალი,
იდგა მართალი, ძლიერი, მკაცრი;
თვალებში ენთო მგზნებარე ცეცხლი,
თვალებს უნთებდა დიადი აზრი!
მითხრა:— შენ ახალ ცხოვრებას იწყებ,
მას სამშობლოსთვის სიცოცხლე ჰქვია.
შენ შეგიძლია თავის განწირვა?
და მე ხმამაღლა მივუგე:
— დიახ!
კომკავშირული დავიწყე სუნთქვა
ჩემი გულით და ჩემი ფიქრებით.
ვგრძნობდი: ყოველდღე, ყოველთვის, მუდამ
მავაჟკაცებდნენ მისი რიგები.
ო, კომკავშირო, შრომაში მზრდიდი
და პარტიისთვის მაწრთობდი გზნებით;
შენ მე მაჩვენე სიცოცხლე დიდი,
გამიჩირაღდნე დიადი გზები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თენგიზ გოგოლაძე

ნახ. კ. მახარაძისა

# კეთილი განზრახვით

მოთხრობა

პიონერული გაზეთის რედაქციაში ყოველდღე უამრავი წერილი მოდიოდა. საიდან არ იწერებოდნენ და რას არ იწერებოდნენ. პიონერ-მოსწავლეთა წერილების განყოფილების გამგე, მაღალმაღალი, შავთვალწარბა ქალიშვილი, თამარ მესხი, დიდი გულისყურით ათვალიერებდა თითოეული ავტორის წერილს და როცა გადაიკითხავდა, ჟურნალში ჩაწერდა ხოლმე ავტორის გვარსა და მასალის სათაურს.

იმ დღეს თამარის ყურადღება განსაკუთრებით ერთმა ბარათმა მიიქცია. მოწაფის იყო იგი. კონვერტზე მრგვალი, ლამაზი ასოებით გამოეყვანა რედაქციის მისამართი; ასევე ფაქიზად იყო დაწერილი მთელი ბარათი, რომელიც რვეულის სამ გვერდს შეიცავდა.

წერილი ყურადღებას იქცევდა არა მარტო თავისი გარეგნული სიფაქიზით, არამედ შინაარსითაც. თამარმა გაფაციცებით ჩაიკითხა ბოლომდე, მაგრამ მის გაოცებას საზღვარი არა ქონდა, როცა ასეთ საინტერესო წერილს ბოლოში ავტორის სახელი და გვარი არ ეწერა. აღნიშნული იყო მხოლოდ „ქალთა III სკოლა“. ამ სკოლაში ვინ იცის რამდენი მოწაფე გოგონაა! „წერილი უთუოდ დაიბეჭდება“, — გადაწყვიტა თამარმა და რედაქტორთან შევიდა. რედაქტორმა გულდასმით წაიკითხა, მანაც მოიწონა უცნობი გოგონას წერილი და თამარს დაავალა მოეძებნა იგი.

* * *

მეორე დღეს თამარი ქალთა III სკოლაში მივიდა. სკოლის დირექტორი ქალი იყო. მან თავაზიანად მიიღო რედაქციის წარმომადგენელი, მოუსმინა, შემდეგ ბარათს დახედა და თქვა:

— ხელზე ეტყობა, 5-6 კლასის მოწაფე უნდა იყოს.

— დიახ... წერილის დაბეჭდვა გვინდა და გთხოვთ ავტორი გვაპოვნინოთ, — კიდევ სთხოვა თამარმა და მერე მოკლედ გააცნო წერილის შინაარსი.

— მართლა საინტერესოა, — დაუდასტურა თავის მოწაფის საქციელით კმაყოფილმა დირექტორმა.

— ახლავე გამოვუძახებ ქართულის მასწავლებელს. შეიძლება ხელზე იცნოს, — თქვა მან და სამასწავლებლოში გავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა გაკვეთილის გამოსვლის ზარი დაირეკა, დირექტორის კაბინეტში შემოვიდა მოხუცი პედაგოგი, რომელიც ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. მან შეათვალიერა ნაწერი და დინჯად თქვა:

— ეს მგონი მანანა ნაკაშიძის ნაწერი უნდა იყოს... მანანა კედლის გაზეთს წერს ხოლმე, შეგიძლიათ შეადაროთ და დარწმუნდებით... ნამდვილად მისი ხელია.



— ეს ხომ შენი ნაწერია, მანანა? — ჰკითხა ქართულის მასწავლებელმა.

დაუძახეს მანანა ნაკაშიძეს. მოვიდა იგი, დიდთვალება, სიცოცხლით სავსე გოგონა, აღელვებული იყო, ყურებამდე გაწითლებული.

— ეს ხომ შენი ნაწერია, მანანა? — ჰკითხა ქართულის მასწავლებელმა.

მანანა მეექვსე კლასის ხუთოსანი მოწაფე იყო, თავი ყოველთვის მაღლა ჰქონდა შემართული, პირველივე შეკითხვაზე სხარტი პასუხის მიცემა იცოდა. ახლა კი შეყოვნდა, თავი დახარა.

— დიახ, პატივცემულო მასწავლებელო, მე დავწერე, — გაუბედავად წარმოთქვა მან.

თამარმა თავზე ხელი გადაუსვა გოგონას, დაუყვავა და უთხრა:

— მე რედაქციიდან ვარ. შენი წერილი მოვიწონეთ და გვინდა დავბეჭდოთ. გაკვეთილების შემდეგ აუცილებლად შემოიარე რედაქციაში... ახლა კი წადი გაკვეთილზე, არ დაგაგვიანდეს.

ამ დროს გაკვეთილზე შესვლის ზარი წკრიალებდა. დირექტორის კაბინეტიდან გამოსული მანანა ერთ ხანს დერეფანში შეჩერდა. არა, გოგონას ნამდვილად არ ეტყობოდა ის სიხარული, რომელსაც ასეთი ნორჩი ავტორები განიცდიან ხოლმე, როცა დაპირდებიან, რომ მათ წერილს აუცილებლად დაბეჭდავენ გაზეთში. მანანას გულში ამ სიხარულის ნატამალიც კი არ შეჰრილა, პირიქით, უფრო მეტად დაფიქრდა იგი.

აგერ რუსულის მასწავლებელი უკვე კლასს უახლოვდება. მანანა მოსწყდა ადგილს და კლასისაკენ გაიქცა.

გაკვეთილზე ვერ მოისვენა. შეკითხვებზე ძუნწად პასუხობდა. მასწავლებელი გაკვირვებული იყო, — რა დაემართა სამაგალითო მოწაფესო. სამასწავლებლოში რომ გავიდა, ყველაფერი ქართულის მასწავლებლისაგან გაიგო. დანარჩენმა მასწავლებლებმაც შეიტყვეს და ყველამ მანანას დაუწყო ქება.

— ბავშვი თურმე ძალიან განიცდის... ალბათ, ახლა ნანობს, რატომ დავწერე ასეთი წერილიო. მოდი, მოვიყვანოთ და დავამშვიდოთ, — თქვა ერთმა მასწავლებელმა.

— არა, — განაცხადეს გამოცდილმა პედაგოგებმა, — დაე თვითონ ჩაიქროს ის ცეცხლი, რომელიც გულში აენთო... აწუხებდა, იფიქრა, გადაწყვიტა, მოიმოქმედა, კვლავ თვითონ იფიქროს, თვითონ გადაწყვიტოს როგორ მოიქცეს... აშკარაა, რომ რედაქცია იმ წერილს დაბეჭდავს.

* * *

გაკვეთილების შემდეგ მანანა რედაქციაში მივიდა. იქ უკვე ყველამ იცოდა მისი წერილის შინაარსი.

თამარ მესხმა თავის მაგიდასთან დასვა მანანა.

— რატომ არ გინდოდა, რომ შენი გვარი და სახელი შეგვეტყობინებინა ჩვენთვის? — ჰკითხა თამარმა ნორჩ ავტორს.

— ძალიან გთხოვთ, წერილს ნუ დაბეჭდავთ! — უკვე ცრემლიანი თვალები შეანათა მანანამ განყოფილების გამგეს, გულიც კი ამოუჯდა, მაგრამ თავი შეიკავა.

— რატომ?! — გაიკვირვა თამარმა, მანანას ნაწერი წინ დაიდო და ბოლო სტრიქონები ხელახლა წაიკითხა. მერე ავტორს შეხედა და უთხრა:

— შენ წერ, რომ არაფრის გეშინია და ღრმად ხარ დარწმუნებული, რომ კარგად იქცევი... მაშ, რატომღა ღელავ?

— მე გთხოვთ, ძალიან გთხოვთ, წერილს ნუ დაბეჭდავთ! — ერთხელ კიდევ სთხოვა მანანამ.

— ჩვენ მაინც არ გვესმის, რა გაღელვებს, მანანა! — მიმართა რედაქციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, — რატომ არ გინდა, რომ შენი წერილი დაიბეჭდოს ჩვენს გაზეთში? მაშ რატომ გვიგზავნიდი?

— დაბეჭდვა აუცილებელია? მე მინდოდა, რომ თქვენ ისე, დაუბეჭდავად გაგეწიათ რაიმე დახმარება, — უთხრა მანანამ.

— წერილი ისეთია რომ ჩვენ არ შეგვიძლია არ დავბეჭდოთ... ეს ბევრ მოსწავლეს დაეხმარება, მრავალი ჩაუკვირდება თავის თავს... შენ სასარგებლო საქმეს აკეთებ ბევრი მოსწავლისათვის... პიონერი ხარ, პიონერი კი გაბედული უნდა იყოს. გაბედულობა გაქვს, მაგრამ, რატომღაც, ბოლომდე მაინც არ დგახარ მაგრად, — ეს კი ცუდია. ჩვენ გავიგეთ, რომ შენ საუკეთესო მოსწავლე ხარ, ეხმარები ამხანაგებს, არიგებ მათ... კარგი იქნება, რომ შენმა ამხანაგებმა გაზეთიდანაც მოგისმინონ.

* * *

ცოტა ხნის შემდეგ მანანა მანქანაზე სათუთად გადაბეჭდილ წერილს კითხულობდა. თავის ნაწერთან შედარებით ახლა უფრო მოეწონა. ალბათ, დანარჩენ ავტორებსაც ასევე უსწორებენ მასალებს რედაქციის თანამშრომლები, რომ გაზეთში ყველაფერი რიგზეა. მანანა კარგად სწავლობს ქართულ ენას, ლიტერატურას, მაგრამ, როგორც ჩანს, მას კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი სწავლა სჭირდება, რომ თამარივით იცოდეს წერა.

თამარი წერილს ასწორებდა და გოგონას ხშირად ეკითხებოდა:

— ასე სჯობია, ხომ? ასე იყოს, არა?

— დიახ, ასე სჯობია, ასე იყოს, — უდასტურებდა მანანა.

ბოლოს გოგონამ გადაბეჭდილ წერილს ხელი მოაწერა. რატომ მაშინ კი არ მოაწერა, როცა რედაქციაში გაგზავნა? დღესაც რომ კითხოთ, ვერ გიპასუხებთ მანანა.

* * *

რედაქტორმა ერთხელ კიდევ წაიკითხა წერილი და სტამბაში გაგზავნა. სტამბაში ჩამოასხეს სწორი და მოკლე სტრიქონები, მერე რკინის დიდ ჩარჩოში ჩააწყეს, კორექტორებმა გაასწორეს, რედაქტორმა კიდევ ერთხელ წაიკითხა ანაბეჭდი...

გვიან ღამით ვეება მანქანამ გრიალ-გრიალით დაბეჭდა უამრავი გაზეთი.

დილით ადრე, როცა მანანამ თვალი გაახილა, მის წერილს უკვე კითხულობდნენ ქუჩებში, შინ და გარეთ.

* * *

ვაკეთა მეოთხე საშუალო სკოლის უფროსმა პიონერხელმძღვანელმა თეიმურაზ ვაშაკიძემ გაკვეთილების შემდეგ მეექვსეკლასელი ბიძინა ნაკაშიძე პიონერთა ოთახში შეიხმო, მაგიდასთან დასვა, წინ პიონერული გაზეთი დაუდო და უთხრა წაიკითხა წერილი სათაურით „ყოყოჩასა და დიდგულას საქციელს არავინ მოუწონებს!“

ბიძინამ სათაური წაიკითხა, თეიმურაზს ქვეშქვეშ შეხედა.

უფროსი პიონერხელმძღვანელი თვალს არ აშორებდა მოწაფეს.

— წაიკითხე, ბიძინა, ბოლომდე წაიკითხე? — მიმართა მან მშვიდად.

ბიძინამ თვალი გააყოლა პირველ სტრიქონს!

„მე მყავს უფროსი ძმა ბიძინა...

— ეს ჩემზეა?! — წამოიძახა ბიჭმა, შეშფოთებულმა წამოსწია თავი. ნუ თუ მანანა წერს? გაზეთის მოგრძო სვეტს დახედა... ბოლოში შავი შრიფტითაა მინაწერი: მ. ნაკაშიძე. ის არის! მანანა! ბიძინა გაფითრდა, სიბრაზით აინთო. მიხვდა, რომ გაზეთში კარგად არავინ ახსენებდა, მით უმეტეს მისი და, რომელიც ყოველდღე ეხუხებოდა შინ...

ბიძინა გაწითლდა, ინდაურივით გაიფხორა.

— წაიკითხე, ბოლომდე წაიკითხე, — კვლავ მშვიდად ურჩია, თეიმურაზმა, თითქოს არც კი შეემჩნიოს ყმაწვილის შეშფოთება, მისი გაბრაზება.

ანთებული თვალები სტრიქონებს გაჰყვნენ.

„... იგი ვაკეთა მეოთხე საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლეა. ერთ-ერთი დიდი ნაკლი, რომელიც მას ახასიათებს, — სიზარმაცეა. ცუდად სწავლობს, მიუხედავად იმისა, რომ სკოლასა და ოჯახში ყველა პირობა გააჩნია, რათა სანიმუშო მოსწავლე იყოს. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ რაიმეს აკეთებდეს, საქმიანობდეს ოჯახში. პირიქით, მეტისმეტად გადიდგულებულია, ყვირის, ჩხუბობს, მოითხოვს, რომ ყოველგვარ სურვილს უყოყმანოდ უსრულებდნენ. არავის და არაფერს არ უწევს ანგარიშს, არ აფასებს სხვის შრომას. როცა ვმეცადინეობ და სიწყნარე მესაჭიროება, იგი სწორედ მაშინ ხმაურობს და, რამდენიც არ უნდა ვთხოვო, არ გაჩერდება. — ცდილობს უფრო მეტად შემიშალოს ხელი. ეს ხომ ნამდვილი ეგოიზმია, სიბოროტე. „მსურს და უნდა ვიხმაურო — აბა, სხვის სურვილზე ვიარო?“ — ასე მსჯელობს ბიძინა.

დედაჩემი დილით ადრე მიდის სამსახურში. ჩვენ თითქმის ხუთი-ექვსი საათი უფროსი ადამიანების მეთვალყურეობის გარეშე ვართ. როცა ჩვენი მეზობლები ჩემს ძმას არიგებენ, მიუთითებენ, რომ უწესოდ იქცევა, იგი აცხადებს: ქურდი არა ვარ, თამბაქოს არ ვეწევი!... ეს მართალია, მაგრამ

განა მარტო ამით განისაზღვრება უწესობა? განა სიზარმაცე, ეგოიზმი, ქედმაღლობა მავნე ჩვევები არ არის? ამის შესახებ მეც არაერთხელ მითქვამს მისთვის, მაგრამ გაგონებაც არ უნდა. როცა ვარიგებ, ირონიით მიყურებს, ან მლანძღავს.

ძვირფასო რედაქცია! გთხოვთ განუმარტოთ ჩემს ძმას, რომ მისთვის სიკეთე გვინდა, აუხსენით, რომ საბჭოთა მოსწავლისათვის შეუფერებელია მისი საქციელი; განუმარტეთ, როგორ უნდა იქცეოდეს სკოლაში და შინ.

დარწმუნებული ვარ, ჩემი ძმა ძალიან გაგულისდება და ჩვეულებრივად ჩხუბს დამიწყებს ამ წერილს რომ წაიკითხავს, მაგრამ ამის არ მეშინია, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კარგად ვიქცევი. მოსალოდნელია, მან თვითონ არც გადაფურცლოს ეს გაზეთი. მაშინ მე თვით მივცემ და წავაკითხებ. იგი დაუფიქრდება თავის საქციელს, მიხვდება, რომ არასწორად იქცევა“.

* * *

სანამ ბიძინა დის წერილს კითხულობდა, უფროსი პიონერხელმძღვანელი ფანჯარასთან მივიდა და სკოლის ეზოში გადაიხედა. პიონერთა ოთახი მეორე სართულზე იყო. პიონერხელმძღვანელმა დაინახა ბიძინას თანაკლასელი ორი მოწაფე, ანდრო და მერაბი, რომლებიც ეზოში ტრიალებდნენ. ეტყობოდათ შინ წასვლას არც კი აპირებდნენ. ისინი ნამდვილად ბიძინას ელოდებოდნენ, თეიმურაზმა ხელით ანიშნა ამოდითო, შემდეგ ბიძინას მოუბრუნდა. მას კითხვა დაემთავრებინა და ახლა ხმაამოუღებლივ უბღვერდა დის წერილს.



— წაიკითხე, ბოლომდე წაიკითხე, — კვლავ მშვიდად ურჩია თეიმურაზმა.

ბიძინას ბოღმა უტრიალებდა გულში, რა ეთქვა, რა მოემოქმედნა აღარ იცოდა. ახლა მთელ საქართველოში კითხულობდნენ ბავშვები მანანას წერილს და ვინ იცის, რას არ უმატებენ, როგორ არ ლანძღავენ ბიძინას, ან, ვინ იცის, იქნებ ისინი მანანას ამტყუნებენ, რომ ძმა ყველას თვალში დაამცირა, ასე უმოწყალოდ გალანძღა...

სწორედაც რომ არ მოელოდა ასეთ რამეს ბიძინა. მერე ვისაგან?! მანანა თუ გაბედავდა და გაზეთში გაწერდა — ეს სულ არ წარმოედგინა. დახეთ, როგორ წერს: ჩემი ძმა ძალიან გაგულისდება და ჩვეულებრივად ჩხუბს დამიწყებსო, მაგრამ მე ამის არ მეშინიაო...

მოდი და მართლაც ნუ მოგივა გული!

პიონერთა ოთახის კარი გაიღო და ოთახში ანდრო და მერაბი შემოვიდნენ, გაწუწული ბეღურებივით იქვე კარებთან აიტუზნენ.

— რატომ სახლში არ მიდიხართ? — კითხა შუა ოთახში გაჩერებულმა თეიმურაზმა, — ეზოში რას აკეთებდით?

— ბიძინას ველოდებოდით, პატივცემულო ხელმძღვანელო.

— რატომ ელოდებოდით? უიმისოდ არ შეგიძლიათ შინ წასვლა? თუ მეგობრები ხართ და ბიძინას გარეშე ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ შეგიძლიათ, მიდით ახლა დაეხმარეთ...

— რაში დავეხმაროთ?! — ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს ანდრომ და მერაბმა.

ანდრო და მერაბი ბიძინას ახლომეგობრები იყვნენ. ერთად მოდიოდნენ სკოლაში, ხშირად არ იცოდნენ გაკვეთილები, ერთნაირად არღვევდნენ წესრიგს. ზღარბები, კურდღლები და მტრედები მოაშენეს მერაბთან. იგი ქალაქგარეთ ცხოვრობდა და საამისოდ მოხერხებული ეზო ჰქონდა. შორიახლო მინდორიც იყო, როცა მტრედებთან და კურდღლებთან თამაშით მოიღლებოდნენ, მეგობრები მინდვრად გარბოდნენ. სწავლა ვის ახსოვდა. საკლასო ჟურნალში მათი გვარების გასწვრივ ბევრი ორიანი იყო ჩამწკრივებული.

თეიმურაზმა ანდრო და მერაბი გვერდით მოუსვა თავიანთ მეგობარს და მერაბს დაავალა მანანას წერილი ხმამაღლა წაეკითხა. ბიძინა ფანჯარაში იყურებოდა. თვალებში სიმწრის ცრემლი

ედგა. მერაბმა კითხვა დაიწყო. პირდაღებული ანდრო ბიძინას მისჩერებოდა, „ეს რა დაგმართია, გაზეთში გაუწერიხარო!“ — ამბობდა მისი გამოხედვა.

— აბა, ახლა რას იტყვით, ყმაწვილებო? — შეეკითხა პიონერხელმძღვანელი ბიძინას მეგობრებს, როცა მერაბმა კითხვა დაასრულა.

მაგრამ მათ კრინტი ვერ დასძრეს.

— კარგი, მაშ რადგან არაფერი გაქვთ სათქმელი, სხვა დროს ვილაპარაკოთ, ახლა კი წადით სახლში, — უთხრა პიონერხელმძღვანელმა.

როცა სკოლიდან გამოვიდნენ, მეგობრები ერთხანს კვლავ დუმდნენ. ბოლოს მერაბმა წამოიწყო:

— შენს ადგილას, ასეთ დას მაგრად მივბეგვავდი, — გულმოსვლით თქვა ანდრომ და მაშინვე ბიძინამაც დაუმატა მუქარით:

— მივიდე სახლში!

— ცემას აპირებ? გოგოს ცემა ვინ გაიგონა, — ჩაერია მერაბი, — ჩემი დაც მაბრაზებს ხოლმე, მაგრამ ხელს როგორ დავაკარებ, რას ამბობ, ეს რა ვაჟკაცობაა!

* * *

ბიძინაზე ადრე მანანა მივიდა შინ. დღეს რაღაც არაჩვეულებრივი დღე იყო მისთვის. გაკვეთილების შემდეგ წაიკითხა თავისი წერილი. მთელი სკოლა ლაპარაკობდა მანანაზე, მის საქციელს ყველა იწონებდა. მანანას ეს სრულიადაც არ აინტერესებდა, მთავარი ის იყო, რა გავლენას მოახდენდა გაზეთი მის ძმაზე, გამოსწორდებოდა თუ არა, შეიგნებდა თუ არა, რომ ცუდად იქცევა. მანანა დარწმუნებული იყო, რომ სკოლაში გაზეთს უთუოდ წააკითხებდნენ, ან წაუკითხავდნენ ბიძინას. ვინ იცის როგორ გუნებაზე დადგა! შეიძლება უზომოდ გაგულისებული მოიჭრას შინ და სცემოს კიდეც დას! ამის მოლოდინში იყო გოგონა.

ოთახში ბიძინა გამოჩნდა წარბშეკრული, მრისხანე სახით. იგი ერთ წუთს მიაჩერდა ფერდაკარგულ დას, მერე რაღაც მიახალა გულმოსვლით, ოთახი გაიარა, წიგნების ჩანთა მაგიდაზე დააგდო და მეორე ოთახში კარის გაჯახუნებით გავიდა.

* * *

მერაბზე ძლიერ იმოქმედა მანანას წერილმა. მასაც ყავდა და. ქეთო ორი-სამი წლით უფროსი იყო ძმაზე. ძმის ცუღლუტობა არ მოსწონდა, ხშირად ეჩიჩინებოდა, არიგებდა, გაკვეთილების სასწავლებლად ძალით დასვამდა ხოლმე, მაგრამ ანდროსა და ბიძინას აყოლილი მერაბი მაინც ცუდ ბავშვად გამოიყურებოდა.

მერაბი შინ მივიდა თუ არა, ქეთომ, რომელსაც უკვე წაეკითხა მანანას წერილი, თავისთან მიიხმო ძმა და უთხრა:

— ერთხელ კიდევ გირჩევ თავი მიანებო იმ შენს ცუდ ამხანაგებს, დაეხსენ ცუღლუტობას, თორემ მეც ავიღებ კალამ-კალმისტარს და უარესებს დავწერ გაზეთში. ხომ გახსოვს ჩვენს მეზობელ ილიკოზე რა დაწერეს, კაცი ერთ თვეს გარეთ ვერ გადიოდა სირცხვილით. დღეს მთელ საქართველოში კითხულობენ ბავშვები ბიძინაზე, და დარწმუნებული ვარ კარგს არავინ ლაპარაკობს მასზე.

ქეთოს სიტყვების სიმართლეში მალე დარწმუნდა მერაბი. პიონერულმა გაზეთმა კიდევ რამდენიმე წერილი დაბეჭდა. მრავალი მოწაფე გამოეხმაურა მანანა ნაკაშიძის წერილს. ბიძინასთან ერთად ნორჩი ავტორები მკაცრად აკრიტიკებდნენ თავიანთ კლასებში მყოფ უდისციპლინო მოწაფეებს.

ამას ყველაფერს კითხულობდნენ მერაბი და ანდრო.

„ჩვენც არ გაგვწერონ გაზეთში,“ — შეშფოთებით ფიქრობდნენ ისინი.

* * *

მანანა მართლა იყო დარწმუნებული იმაში, რომ ბიძინა ძალიან გაგულისდებოდა და ჩვეულებრივ ჩხუბს დაუწყებდა გაზეთში გამოქვეყნებული წერილის გამო. მართალია, ბიძინა ძალიანაც გაგულისდა, მაგრამ ჩხუბი კი არ აუტეხია. დას ვერაფრის თქმა გაუბედა, რადგან დაინახა, რომ თავის თანატოლებიდან ყველა მანანას უმაგრებდა ზურგს.

რამდენიმე დღე გაბუტული მოდიოდა სკოლიდან. მანანას წერილი რაზმის შეკრებაზე განიხილეს, ბიძინამ პირობა დადო, რომ უთუოდ გამოსწორდებოდა, მაგრამ მას შემდეგ მანანას აღარ ელაპარაკებოდა. ჩაიკეტებოდა მეორე ოთახში და საათობით იჯდა ფანჯარასთან.

დედა დარდობდა და-ძმის ამგვარ დამოკიდებულებას, მაგრამ ატყობდა, რომ ბიძინა აღარ ჩხუბობდა, თუ მანანა შინ იყო — კრინტსაც კი არ ძრავდა.

მანანას გული სტკიოდა. მის ამხანაგებს დებიც ყავდათ და ძმებიც; მათ ერთმანეთი ძლიერ უყვარდათ, პატივს სცემდნენ. მანანა კი, როგორც ჩანს არ უყვარს ბიძინას. დას კეთილი განზრახვა არ უმართლებდა. მარტო ის კი არ უნდოდა მანანას, რომ ბიძინა შინ და გარეთ წყნარი ყოფილიყო, არ ეყვირნა, სხვისი შრომა დაეფასებინა, ესწავლა, არამედ გოგონას სურდა ძმას ყვარებოდა იგი და, როგორც სხვისი უფროსი ძმები, იგიც

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეორე ოთახის კარი ღია იყო. საწოლთან თეთრხალათიანი კაცი მოჩანდა.

ისე მოპყრობოდა თავის უმცროს დას. მანანა და ბიძინა არასოდეს ერთად არ წასულან კინოში, თეატრში, არასოდეს არ დამჯდარან და არ ულაპარაკნიათ რომელიმე მხატვრულ ნაწარმოებზე, რაც წამოიზარდნენ ერთად არ უთამაშნიათ.

* * *

ერთხელ მერაბმა ქართულში ოთხიანი მიიღო. ამხანაგებმა უთხრეს: ხუთიანი გეკუთვნოდა, მაგრამ სამიანიდან ხუთიანზე რომ უცებ გადამხტარიყავი, ოთხიანს ეწყინებოდაო.

კარგი ყოფილა ოთხიანის მიღება. მერაბმა კლასს თვალი გადაავლო: ყველა მას უცინოდა, თვითონ მასწავლებელიც ღიმილით უყურებდა.

— მეორედ კიდევ გამოგიძახებ. ასე თუ მიპასუხე, ხუთს დაგიწეროო. — უთხრა მასწავლებელმა.

მასწავლებლის ამ სიტყვებმა უდიდესი სიხარული მოჰგვარა მერაბს. გაკვეთილების შემდეგ აღფრთოვანებული გაიქცა იგი ბიძინასთან, რომელიც იმ დღეს სკოლაში არ იყო.

* * *

ნაკაშიძის ბინაში რომ შევიდა, მერაბმა დაინახა ბიძინას დამწუხრებული სახე. მეგობარს თვალები ცრემლით ქონდა სავსე.

— რა მოხდა?! — იკითხა მერაბმა და ოთახი მოათვალიერა. მეორე ოთახში გამავალი კარი ღია იყო, იქით, საწოლთან დახრილი თეთრხალათიანი კაცი მოჩანდა.

— მანანა ავად გახდა, — უთხრა ბიძინამ, — გონება დაკარგა და ბოდებს... სულ ჩემს სახელს ახსენებს და მეუბნება, ნუ მეჩხუბებიო. როდისღა ვეჩხუბები!..

ბიძინა ცრემლებს იმაგრებდა. ფანჯრიდან, სადღაც შორს იყურებოდა.

მერაბიც დაღონდა. მას პირზე შეაცივდა ამხანაგისათვის მისახარებელი სიტყვები, სახე მოეღრუბლა და დიდხანს იყო ასე უსიტყვოდ, ვიდრე ოთახში არ გაიარა ექიმმა, რომელსაც წარბშეკრული დედა მიაცილებდა.

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ სკოლიდან დაბრუნებულ ბიძინას დედა კარგ ხასიათზე შეხვდა:

— უკეთ არის... მიდი, წეღან შენ გიკითხა...

ბიძინა ფეხაკრეფით შევიდა. მანანას თვალები მოხუჭული ჰქონდა.

— მანანა! — ფრთხილად დაუძახა ბიძინამ და ახლოს მივიდა.

მანანამ თვალი გაახილა და გაიღიმა.

ბიძინა საწოლთან ჩამოჯდა. ერთ ხანს უსიტყვოდ უყურებდა დას...

— კიდევ მეჩხუბები? — ნახევარხმით წარმოთქვა მანანამ და თავდახრილ ბიძინას თვალი არ მოაშორა.

— არა, არ გეჩხუბები, — გაიღიმა ბიძინამ, — კარგად რომ გახდები, მეორე წერილი დაწერე გაზეთში... დღეს ოთხიანი მივიღე რუსულში... შენ რომ ავად იყავი ამის მიღებაც ძნელი იყო... ახლა კი ხუთიანსაც მივიღებ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ახალგაზრდა პოეტები

## ოლეგის სახელით, ზოიას სახელით

სკოლაში გონებაგახსნილი ბიჭუნა
ყველაფერს ბეჯითად ვსწავლობდი,
მაგრამ მე ტანად რომ პატარა ვიყავი
ამიტომ ვწუხდი და ვდარდობდი:

„თოთხმეტი წლისა ვარ და მაინც, იქნება
ბიურომ არ მომცეს თანხმობა.
მე კომკავშირზე ვოცნებობ ყოველთვის,
და უკან დავტოვე ბალღობა?!“

როდესაც მიმიღეს და გულმაც ინათა,
ის წუთი სულ მემახსოვრება:
მე მაშინ სიმაღლე თითქოს მომემატა,
იმ დღიდან ვიგრძენი ცხოვრებაც.

იმ დღიდან განმტკიცდა მუხლი და ნაბიჯი,
ვერ მაკრთობს ხევი და დაღმართი...
დღეს კი მაიაკოვსკის ლექსებით გაზრდილ ბიჭს
ნება მაქვს მანდატის აღმართვის.

უშიშრად,
ამაყად
მაღლა ვწევ ჩემს ბილეთს —
ჩემს ნამუსს,
კაცობას,
ჩემს იმედს;
მივმართავ დოლარით გონება შეშლილებს:—
დალესებს,
მორგანებს,
ჩერჩილებს:

ჩვენ ომი არ გვინდა და თუ თქვენ გახელდით —
გაფრთხილებთ —
შეხედეთ ამ ბილეთს...
იცოდეთ, გაფრთხილებთ ოლეგის სახელით,
ზოიას სახელით გაფრთხილებთ!

ზურაბ კუხიანიძე

## სიმღერა უკვდავებაზე

ქარს მაშინ ბრძოლის ხმები მოქონდა,
ველზე დაეცნენ ჩვენი ტოლები...
და ყველა ბიჭის,
ყველა გოგონას
ოცნება გახდა —
მაშინ ოლეგი.

ვფიქრობდით,
ნეტავ მას ვგავდეთ ყველა,
შეგვეძლოს მტერთან ბრძოლა გმირული.
გვქონდეს ზოიას ცეცხლი და რწმენა
და ვაჟკაცობა კომკავშირული.

მათი სიცოცხლე დიდი და ლაღი
ჩვენშია, გულში იქცა ალებად.
ეს გაზაფხული
ყანა,
და ბაღი
უყვარდათ...
გვიყვარს და გვეყვარება.

ო, ასეთ სიკვდილს გმირობა ქვია
და მათ ჩვენს შორის ყოველდღე ვხედავთ..
აკვანს ურწევენ მშვიდობას დიადს
ოლეგის დედა,
ზოიას დედა.

თამაზ ჭილაძე

## მხნედ მივაბიჯებთ მზეჭაბუკები

ცისარტყელებმა გაჭკვეთეს ნისლი,
ნათელი კრემლი თავზე დაგვცქერის.
ყველგან სიცოცხლის სიმღერა ისმის
და ჰქუხს სიმღერა, როგორც ჩანჩქერი.

მხნედ მოვაბიჯებთ მზეჭაბუკები,
კომკავშირლები, სახენათელნი,
ყველა ძმები ვართ, ალალი ძმები —
რუსი, სომეხი, ოსი, ქართველი.

ფრთები შეესხა ჩვენს ალმაფრენას,
და ვიმეორებთ ხმამაღლა, მტკიცედ:
— ჩვენ ერთი დედა არ გვზრდიდა ყველას,
მაგრამ ერთ დროშას ძმად შევეფიცეთ.

გრიგოლ გვაძაბია



# მოგზაურობა ვოლგა-დონზე

## 1. გამგზავრება

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გაზაფხულიდანვე დავიწყეთ მზადება შორეული მოგზაურობის ჩასატარებლად. ჩვენი მარშრუტი ასეთი იყო: თბილისი-მოსკოვი-როსტოვი, ვოლგა-დონის არხით — თბილისი. დადგა სანატრელი დღე — 23 ივლისი. მატარებელი ჩვენი დიადი ქვეყნის დედაქალაქისაკენ — მოსკოვისაკენ მიგვაქროლებს. უბის წიგნაკებში ჩნდება პირველი ჩანაწერები. გავიარეთ ყუბანის ველი, გვერდი ავუქციეთ აზოვის ზღვას და მივემართებით დიდი რუსეთის ვრცელი ტრამალებისაკენ. მატარებლის ფანჯრიდან ჩანს ფაბრიკები და ქარხნები, ნახნავები და ქარსაცავი ზოლები, ჩვენს კომფორტაბელურ კუპეში მხიარული სიცილი და ალტაცების შეძახილებია. გაისმის რუსული და ქართული ხალხური სიმღერები.

სასახლის ლიტერატურის კაბინეტის წევრი გურამ ლორია საველე გაზეთის რედაქტორად ავირჩიეთ. იგი უკვე შეუდგა მუშაობას — შეაგროვა წერილები, ხოლო ჩვენმა მხატვარმა მიხეილ სმირნოვმა გაზეთის პირველი ნომერი გააფორმა. გადავწყვიტეთ გაზეთს „მოსკოვისაკენ" ვუწოდოთ.

მატარებელი დედაქალაქის გარეუბანში შედის. გამოჩნდა მოსკოვის უნივერსიტეტის ახალი შენობის გრანდიოზული ხედი... მოსკოვი...

27 ივლისი — წითელი მოედანი. აქ, ამ მოედანზე ჩვენი ქვეყნის გული და მაჯისცემა — კრემლია. მოსკოვი, კრემლი — ამ სიტყვებთან არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის მზარდი ალმავლობა, მისი შეუჩერებელი სვლა კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

მავზოლეუმი — ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი. განუმეორებელია ჩვენი განცდა. მდუმარედ შევყურებთ მავზოლეუმს.

გარს შემოვუარეთ კრემლს. იგი ყოველი მხრიდან შესანიშნავი და ლამაზია. მას შევცქერით კოტელნიჩესკის სანაპიროდან. აქედან, ამ სანაპიროდან გაჰყურებს კრემლის კოშკებს ახლად აშენებული მრავალსართულიანი ვეებერთელა შენობა. დავათვალიერეთ „ვასილი ნეტარის" ტაძარი და მოსკოვის პიონერთა სახლისაკენ გავემართეთ, ჩვენ იქა ვართ დაბინავებულნი.

## 2. მიწისქვეშა სასახლეებში

მოსკოვში ჩასვლისთანავე ჩვენი ექსკურსია მსოფლიოში საუკეთესო მეტროპოლიტენის დათვალიერებით დაიწყო. კურსკის მოედნიდან ჩავედით ამ მიწისქვეშა სასახლეში. დავიწყეთ სადგურების დათვალიერება. თვალი მოგვტაცა მარმარილოთი ფაქიზად მოპირკეთებული სადგურის შესანიშნავმა დარბაზებმა. დიდხანს გვემახსოვრება სადგურები: „მაიაკოვსკაია", „ძერჟინსკაია", „კომსომოლსკაია" და მრავალი სხვა. მეტროპოლიტენის სილამაზით და სიდიადით აღტაცებულმა დევი ფირცხალავამ უბნის წიგნაკში ჩაიწერა: „რა დიდებული, რა მოხერხებულია მგზავრობისათვის მოსკოვის მეტროპოლიტენი თავისი თვითმავალი კიბეებით, განათებით, ვენტილაციით".

## 3. საველე გაზეთების ფურცლებზე

მოსკოვში ჩვენ ორი საველე გაზეთი გამოვუშვით. განა ჩვენი რედაქტორი გურამ ლორია ვინმეს მოსვენებას მისცემს?! იგი წამდაუწუმ მასალებსა გვთხოვს. ჩვენს გაზეთში ბევრი საინტერესო წერილია. გეტა ნანუკაშვილი მოგვითხრობს ლენინის მუზეუმში მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ: „მე ყველაზე უფრო დამამახსოვრდა სამგლოვიარო დარბაზი და ის კუთხე, სადაც დიდი ლენინის პირადი ნივთებია გამოფენილი. აი, მისი საათი, მისი საწერი მაგიდა, მისი ქუდი.... შევედი სამგლოვიარო დარბაზში. თვალწინ გვიდგას დიდი სტალინი, რომელიც ფიცსა დებს ლენინის ცხედართან: „გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ...“ დარბაზიდან გვაცილებს შავი არშიით შემკული წითელი დროშები“.

სასახლის ნორჩ ავიამოდელისტთა კაბინეტის წევრს სვეტლანა პარინოვას ტრეტიაკოვის გალერეის შესახებ დაუწერია. იგი ტრეტიაკოვის გალერეას მოსკოვის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად სთვლის. მართლაც და რა შესანიშნავი სანახაობა იშლება შენს წინ, როცა ათვალიერებ დიდი რუსი მხატვრების უბადლო ნამუშევრებს! მომხიბლავია რეპინის „ივანე მრისხანე და მისი შვილი“, კუინჯის „ღამე დნეპრზე“, აივაზოვსკის „ქარიშხალი“...

მოსკოვის პოლიტექნიკურ მუზეუმში ვნახეთ ტელევიზორი, რომლის შესახებ მხოლოდ გაზეთებიდან თუ ვიცოდით რამე. ჩვენი რადიომოყვარული ანზორ ბურკაძე ტელევიზორის ნახვით აღფრთოვანებული წერს: „ბევრი რამ გამიგონია და წამიკითხავს ტელევიზორის შესახებ, მაგრამ მაინც მაკვირვებს იგი. ტელევიზორი ახლა მარტო მოსკოვს ემსახურება. ჩქარა საბჭოთა მეცნიერები გაადიდებენ მისი მოქმედების არეს და მაშინ თბილისშიც მოვისმენთ არა მარტო: „ლაპარაკობს მოსკოვი“, არამედ სიტყვებს: „აჩვენებს მოსკოვი“.

საველე გაზეთში ვკითხულობთ: „29 ივლისი. საექსკურსიო მანქანით შემოვიარეთ მოსკოვის ღირსშესანიშნავი ადგილები. განსაკუთრებით მოგვეწონა მრავალსართულიანი შენობები, დიდი მოედნები, პუშკინის ძეგლი, გორკის ქუჩა, გორკის პარკი, დიდი თეატრი, ყირიმის ხიდი, უნივერსიტეტი... რომელიც ათეულ ჰექტარებზეა გაშლილი. ექსკურსიის გამყოლმა მოგვითხრო ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დედაქალაქის ისტორიული წარსულისა და აწმყოს შესახებ, მისი მომავლის შესახებ“.

## 4. მოსკოვის პიონერთა სახლი

31 ივლისი. ვეცნობით მოსკოვის საქალაქო პიონერთა სახლის კაბინეტებისა და ლაბორატორიების მუშაობას. პიონერთა სახლი კარგად არის მოწყობილი. განსაკუთრებით მოგვეწონა გემთმშენებელთა ლაბორატორია. ნორჩ გემთმშენებლებს ბევრი შესანიშნავი და რთული ნაკეთობა დაუმზადებიათ. ყურადღებას იპყრობს მოქმედი დიზელიანი „ბუქსირი“, რადიოთი სამართავი გემი და სხვ.

გონივრული გართობის კაბინეტში ფართო და ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებენ. კაბინეტი თავის მუშაობას შლის პიონერთა სახლის გარეთაც. სათამაშოებით მოხატულ საბავშვო მანქანას მოსკოველი პიონერები კარგად იცნობენ. პიონერთა სახლის აქტივისტებს სათამაშოები და თავსატეხები დააქვთ პარკებში, ეზოებში მოწყობილ ბავშვთა მოედნებზე, პიონერთა ბანაკებში...

მდიდარია, თავისი მასალებით ფოტოკაბინეტი.

გეოგრაფიის კაბინეტში კაბინეტის გამგემ ჭვალერი ნიკოლოზის-ძე კუზმინმა მოგვითხრო ნორჩ გეოგრაფთა მუშაობის შესახებ. ჩვენი გეოგრაფი დევი ფირცხალავა მის საუბარს ხარბად უსმენს, ასე გვგონია ეშინია პედაგოგის სიტყვა არ გამოეპაროსო.

შევდივართ სააქტო დარბაზში. აქ ვხვდებით პიონერთა სახლის აქტივისტებს. ისინი გვიზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

ე. გურაბანიძემ სათუთად შესვეული საქართველოს ბედნიერი ცხოვრების ამსახველი ალბომი გადასცა მოსკოველ პიონერებს. მათგან უმრავლესობას არ უნახავს თბილისი, საქართველო... აქამდე მოსკოვს ჩვენც ხომ სურათებით ვიცნობდით! დიდხანს გასტანა მოსკოველი და თბილისელი პიონერების გულთბილმა საუბარმა. ჩვენი შეხვედრა სიმღერით, ცეკვა-თამაშით დამთავრდა.

## 5. ნახვამდის, მოსკოვო!

სამდინარო სადგური „ხიმკი“. აქედან უნდა გავცუროთ ვოლგა-დონისაკენ. სამდინარო სადგური „ხიმკი“ იშვიათ სანახაობას წარმოადგენს. არის შენობები, რომლებსაც დანახვისთანავე იცნობთ, ასეთებია: კავშირების სახლი, მოსკოვის უნივერსიტეტი... ასეთსავე შენობას წარმოადგენს ჩრდილოეთის სამდინარო სადგური „ხიმკი“. გვაკვირვებს მისი სიდიადე, მისი საუცხოო არქიტექტურა. აქ 15-20 წლის წინ არაფერი არ იყო გაშენებული, ახლა კი შესანიშნავი პარკი და ნავსადგურია.

7 საათია — გემ „ლერმონტოვის“ უკანასკნელი საყვირი. გამოთხოვება მოსკოველ პიონერებთან, დიად დედაქალაქთან. ნახვამდის მოსკოვო!

## 6. მოსკოვიდან ქალაქ გორკამდე

ჩვენს თვალწინ იშლება „მოსკოვის ზღვა“. შემდეგ გავდივართ კლიაზმინსკის, პიალოვსკისა და პესტოვსკის წყალსაცავებში. გავიარეთ რაბები და გვიან ღამით შევედით რუსეთის უძველეს ქალაქ დმიტროვში. დმიტროვი მოსკოვზე მხოლოდ 7 წლითაა ახალგაზრდა. ისიც იური დოლგორუკს დაუარსებია. დილით გავიგეთ, რომ გაგვივლია კიმრი — ფეხსაცმელების ფაბრიკების ქალაქი. საბჭოთა არმიის ათიათასობით მებრძოლი კიმრის ფაბრიკებში შეკერილი ფეხსამელებით მისულა ბერლინამდე.

უგლიჩში ჩვენი გემი კარგახანს გაჩერდა. უგლიჩი მოსკოვზე ხანდაზმული ქალაქია. ვათვალიერებთ მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, რომელიც უგლიჩის კრემლში და ტაძრებშია განლაგებული. დიდხანს ვდგავართ დასჯილ ზართან, რომელსაც საინტერესო ისტორია აქვს. თურმე 7 წლის მეფისწულ დიმიტრი ივანეს-ძის სიკვდილის შემდეგ უგლიჩში ხმა გავრცელებულა, — დიმიტრი ბორის გოდუნოვის კაცებმა მოკლესო. მოსახლეობის შესაკრებად ზარის რეკა ატეხილა...

ბორის გოდუნოვს შეამბოხე ხალხი დაუსჯია, კრემლის ზარისთვის ყური მოუჭრია, ენა ამოუგლეჯია და უგლიჩელებთან ერთად ციმბირს გადაუსახლებია. დასჯილი ზარი ციმბირში 300 წელს ყოფილა.

ჩვენმა მხატვარმა მიხეილ სმირნოვმა უგლიჩის კრემლი ჩაიხატა, ხოლო ნანა ნემსაძემ სხვადასხვა მცენარე შეკრიბა.

გემზე დავბრუნდით და მალე დავტოვეთ ნავსადგური.

ღამის 11 საათზე შევედით შჩერბაკოვში. 2 აგვისტოს დილით დავტოვეთ იაროსლავლი. დღის 1 საათზე კოსტრომაში ვართ. კოსტრომა რუსი გლეხის ივანე სუსანინის სამშობლოა, ვღიღინებთ რუსული ოპერის „ივან სუსანინის" მელოდიებს.

გავყევით ვოლგას... გავიარეთ პლესი. პლესი ეს ის ქალაქია, რომელიც მხატვარმა ლევიტანმა თავისი ფუნჯით უკვდავჰყო. საღამოს კინეშმაში შევედით. იგი ვოლგის ლამაზ ნაპირს მჭიდროდ მიჰკვრია. კინეშმა მსუბუქი მრეწველობის ქალაქია. მოვახერხეთ მისი ახლო უბნების დათვალიერება, შემდეგ კი სანაპიროზე გაშენებულ ბულვარზე გავისეირნეთ.

ღამით ჩვენი გემი გააცილა ქალაქების იუროვეცისა და ჩკალოვის სამდინარო სადგურების მოციმციმე შუქურებმა. ჩკალოვში დაიბადა ჩვენი ეპოქის უდიდესი მფრინავი ვალერი ჩკალოვი. ამჟამად ამ ქალაქში ჩკალოვის სახლ-მუზეუმია მოწყობილი.

## 7. გორკის სამშობლოში

დილის 11 საათზე მივადექით ქ. გორკის სამდინარო სადგურს. იგი მრავალი სამდინარო გემის თავშესაყარი პუნქტია. აქ ჩვენ თითქმის 5 საათს დავყავით. ვნახეთ „კაშირინის სახლი", სადაც უცხოვრია დიდ მწერალს.

ქალაქს დიდი რევოლუციური წარსული აქვს. აქ 1893, 1894 და 1900 წლებში დიდი ლენინი იმყოფებოდა. აქ დაიბადა იაკობ მიხეილის-ძე სვერდლოვი, დიდი რუსი რევოლუციონერი-დემოკრატი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე დობროლიუბოვი.

ვათვალიერებთ რუსი გამომგონებლის ივანე კულიბინის ძეგლს. ქალაქი გორკი ივანე კულიბინის სამშობლოა.

გორკში ცხოვრობდნენ პუშკინი, შევჩენკო, კოროლენკო...

დავათვალიერეთ კრემლი, მოედნები, გორკისა და ჩკალოვის ძეგლები.

საველე გაზეთში გურამ გოგავა გორკის ძეგლის შესახებ წერს: „დიდებული სანახავი იყო ის. თმააშლილი, მკაცრი და მრისხანე სახით სივრცეში მომზირალი. ფართო მხრებზე აფრიალებული მოსასხამით, დიდი მწერალი თვითონ ჰგავდა გრიგალს".

შუადღე გადასული იყო, როცა სამდინარო დედაქალაქს დავემშვიდობეთ.

## 8. მეგობრობა

ჩვენთან ერთად მგზავრობს ორი ახალგაზრდა უზბეკი; მათაც განუზრახავთ ვოლგისა და ვოლგა-დონის არხის დათვალიერება. როგორც კი გაიგეს, გემზე საქართველოს მოსწავლეთა ჯგუფიაო, მაშინვე ჩვენთან მოვიდნენ, გაგვეცნენ.

ქართველი ლევან კვილაძე, რუსი სვეტლანა პარინოვა და უზბეკი ნასიროვი უკვე რამდენიმე დღეა რაც მეგობრულ საუბარში ატარებენ თავისუფალ დროს. ნასიროვს ლევანი და სვეტლანა მშობლიური თბილისის შესახებ უყვებიან,



*

სურათებზე: 1. გემი „ლერმონტოვი", რომლითაც მოსკოვიდან როსტოვამდე იმგზავრეს თბილისელმა პიონერებმა.

2. ლალი შარაშენიძე და თამაზ ძოძუაშვილი ბარომეტრზე დაკვირვებისას.

3. რედკოლეგიის წევრები (მარცხნიდან): ამალია სუქნიძე, გურამ ლორია და ნანა ნემსაძე ამზადებენ საველე გაზეთის ახალ ნომერს.

*

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზბეკი მეგობარი კი მშობლიურ ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, უზბეკეთის რესპუბლიკის მიღწევებზე მოგვითხრობს.

დღეს ახალი სიხარულის დღეა — მიხეილ სმირნოვის და ლეო კავილაძის დაბადების დღე. ამ სასიხარულო დღის აღსანიშნავად დილიდან ვემზადებით. მეზობელი კაიუტებიდან უზბეკი და რუსი მეგობრები მოვიპატიჟეთ. მიხეილსა და ლევანს ყველამ რაღაც საჩუქარი მოართვა. არც სტუმრები ჩამოგვრჩნენ, მათაც მიულოცეს. ადრე არც კი წარმოგვედგინა, რომ ლევანისა და მიხეილის დაბადების დღეს ვოლგაზე გადავიხდიდით. ჩვენმა პატარა „ფოტოგრაფმა" თამაზ ძოძუაშვილმა იმდენი ლიმონათი სვა, — სულის მოთქმა უჭირდა; ანზორ ბურკაძე აჯავრებდა: ფოტომოყვარული კი არა უფრო ლიმონათის მოყვარული ყოფილხარო.

ჩქარა ცეკვა-თამაში გაჩაღდა. ჩვენი მოცეკვავენი ლალი, მურმანი, გეტა და ელგუჯა ერთმანეთსა სცვლიდნენ. ცეკვას სიმღერა მოჰყვა. ტკბილად ისმოდა „გაფრინდი შავო მერცხალო"...

## 9. მოძმე რესპუბლიკების სანაპიროებზე

4 აგვისტოს გავიარეთ მარეთის, ჩუვაშეთის და თათრეთის ავტონომიური რესპუბლიკები. გავიარეთ ჩუვაშეთის დედაქალაქ ჩებოკსარში, იგი ვოლგის მარჯვენა ნაპირზეა გაშენებული. აქ არის განთქმული შემერლინის ავეჯის კომბინატი. ამ კომბინატში იქნა დამზადებული საუცხოო ავეჯი მოსკოვის უნივერსიტეტის ახალი შენობისათვის. მივუახლოვდით საინტერესო „სამკუთხედს". აქ სამი რესპუბლიკების შესაყარზე, გაშენებულია ამ რესპუბლიკების სამრეწველო ცენტრები. ესენია: ჩუვაშეთის სამრეწველო პუნქტი კოზლოვკა, მარეთის ახალგაზრდა ქალაქი ვოლჟსკი და თათრეთის მნიშვნელოვანი სამრეწველო ქალაქი ზელენოდოლსკი.

აგერ გამოჩნდა თათრეთის დედაქალაქი ყაზანი; ქალაქში ვერ შევდივართ, იგი სამდინარო სადგურიდან 7 კილომეტრითაა მოშორებული.

ყაზანის შესახებ, მასწავლებელმა საინტერესო საუბარი ჩაგვიტარა. ყაზანში ძველი, ისტორიული უნივერსიტეტია, სადაც სწავლობდა დიდი ლენინი.

## 10. კუიბიშევისაკენ

მშვენიერია დილა ვოლგაზე. გრილი სიო უფრო მეტად გვაცოცხლებს. გამოჩნდა ვ. ი. ლენინის სამშობლო ქალაქი ულიანოვსკი. სანაპიროდან გავცქერით დიდი ლენინის მშობლიურ ქალაქს. შორს მაღლა მოჩანს ლენინის ძეგლი. გავცქერით ულიანოვსკს და გვაგონდება გორი. გემი ნელნელა ცილდება ნაპირს...

ჩქარა ჩავუვლით ჟიგულის სანაპიროებს. გადმოცემით ვიცით, რომ ჟიგული ვოლგის სანაპიროებზე ყველაზე წარმტაცი, ყველაზე საინტერესო კუთხეა.

ჟიგული... ჟიგულს გავყურებთ გეოგრაფის, ნატურალისტის, გეოლოგის თვალებით. იგი ყველასათვის საინტერესო ობიექტს წარმოადგენს. მოხუცი ბოცმანი გვეუბნება, რომ ჟიგულის ტყეებში ვხვდებით სხვადასხვა ცხოველს, მათ შორის ლოსსაც. მეფის დროს ჟიგულის მფლობელი გრაფი ორლოვ-დავიდოვი ყოფილა, რომელსაც თავისი სისასტიკით არაერთხელ გაუმწარებია გლეხობა. ახლა ჟიგულში მშვიდო-










*

4. ნორჩი მხატვარი მიხეილ სმირნოვი ხატავს ვოლგის წარმტაც ნაპირებს.

5. რუსი, უზბეკი და ქართველი მეგობრები გასცქერიან ვოლგის სანაპიროებს.

6. გემი „ლერმონტოვი" უახლოვდება რაბს.

*

6604

საჯარო ბიბლიოთეკა

ბის მშენებლობანია გაჩაღებული. ჟიგული არა მარტო თავის პეიზაჟებითაა საინტერესო, არამედ წიაღისეულითაც. აქ თითქმის ყოველი მხრიდან ნავთის ჭაბურღილის კოშკები ჩანს. აგერ ნავთის მრეწველთა ქალაქი ჟიგულევსკი. ჩავუარეთ კუიბიშევჰესის გიგანტურ მშენებლობას. დამბებზე ვხედავთ წარწერას: „მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე".

## 11. კუიბიშევი—სარატოვი

5 აგვისტო. საღამოა. შევდივართ კუიბიშევში (ყოფილი სამარა). აქ ვნახეთ რევოლუციის მოედანი, რომლის ცენტრშიაც აღმართულია დიდი ლენინის ძეგლი. ლენინმა სამარაში ხომ 4 წელი გაატარა.

ქალაქის მეორე დიდ მოედანზე აღმართულია ვ. ვ. კუიბიშევის მონუმენტური ძეგლი. მის უკან მოჩანს კულტურის სასახლე. ამ შენობაშია მოთავსებული ოპერისა და ბალეტის თეატრი, მხატვრული მუზეუმი, ბიბლიოთეკა და სპორტული დარბაზები. მივუახლოვდით ჩაპაევის ძეგლს. განცვიფრებას იწვევს ჩაპაევისა და მისი თანამებრძოლების ცოცხლად გამოკვეთილი სახეები.

6 აგვისტოს მივადექით სარატოვს. უკვე ბნელა. ვათვალიერებთ ქალაქს. ყურადღებას იქცევს ხშირი მწვანე ნარგავები და სკვერები. სარატოვი ამფითეატრივით მოჩანს. სარატოვში არის რადიშჩევის სახელობის მხატვრული მუზეუმი, რომელსაც ხშირად „სარატოვის ტრეტიაკოვკას", ანდა „ვოლგისპირა ერმიტაჟს" უწოდებენ.

7 აგვისტო. კვლავ მივცურავთ.

მდინარის ორივე მხარეს დროდადრო იშლება ენით აუწერელი პეიზაჟები.

საღამოს დუბოვკაში შევდივართ. ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არა აქვს! გვეგონა, დუბოვკაში მუხის ტყეებს შევხვდებოდით. მაგრამ თურმე მუხნარი მეფის რუსეთის დროს გაუკაფავთ და „უკანასკნელი მოგიკანივით" აქ მხოლოდ ერთი ასწლოვანი მუხაა შემორჩენილი.

გეზი სტალინგრადისკენ გვაქვს აღებული.

## 12. კაპიტან ერტახოვის საუბარი

ჩვენი გემის კაპიტანს ვეწვიეთ. კაპიტანი ერტახოვი ჯმუხი შესახედაობის ხანდაზმული კაცია. შუბლის ნაოჭებზე ეტყობა, რომ ბევრი უნახავს ქვეყანაზე. კაპიტანი გაგვესაუბრა. იგი ისე საინტერესოდ მოგვითხრობდა, რომ ზარმაცმა გეიდარმაც კი მოჰკიდა ხელი ფანქარს და რაღაცას ინიშნავდა უბის წიგნაკში. კაპიტანს ბავშვობიდანვე შეჰყვარებია სანაოსნო საქმე. იგი დიდი სამამულო ომის მონაწილეა. სტალინგრადის დაცვის დღეებში არაერთხელ გადასულა ვოლგაზე, მეომრებისათვის იარაღი და პროდუქტი გადაუტანია. იგი მოგვითხრობს ვოლგის სანაპიროებზე განლაგებული სამრეწველო ცენტრების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მიღწევებზე.

ერტახოვმა ვოლგის ნაოსნობის ცნობილ კაპიტნებზე გვიამბო. თურმე ვოლგელ კაპიტანს ნ. ი. ჩადაევს ჯერ კიდევ სტახანოვური მოძრაობის განთიადზე დიდტვირთიანი ქარავნების ტარების მსოფლიო რეკორდი დაუმყარებია. მას ბუქსირ „სტეფანე რაზინით" ვოლგის დინების წინააღმდეგ გაუყვანია ნავთის ქარავანი, რომელიც 42 ათას ტონაზე მეტს იწონიდა. ამერიკაში კი სამდინარო ქარავნების მაქსიმალური ტვირთმზიდაობა 16 ათას ტონას არ აღემატება.

კაპიტან ერტახოვს კითხვას კითხვაზე ვაყრიდით და ისიც დაუზარებლად გვპასუხობდა.

## 13. გმირი ქალაქი

გამოჩნდა სტალინგრადის მშენებლობათა ხარაჩოები. ვხედავთ ობელისკს. მატროსი გვამცნობს, რომ იგი აგებულია სტალინგრადის გმირ დამცველთა უკვდავსაყოფად.

ჩავუარეთ კუნძულ ზელიონის. აქ ამ კუნძულზე დიდი მუშაობაა გაჩაღებული. ვუყურებთ ამ გიგანტურ მშენებლობას და გული გვევსება მადლობის გრძნობით მშობლიური პარტიისა და მთავრობისადმი.

აი, სტალინგრადიც...

გვიანი საღამოა. გავდივართ ქალაქის ცენტრში. რამდენიმე ნაბიჯი — და გამოჩნდა უნივერმაღის აღდგენილი შენობა. ამ შენობის სარდაფში იყო განლაგებული ფელდმარშალ პაულიუსის შტაბი. აქ დანებდა იგი ტყვედ სტალინგრადის ლეგენდარულ დამცველებს.

სტალინგრადი! — ქალაქი, რომელმაც სამოქალაქო და დიდი სამამულო ომის დროს დიდებით შემოსა თავისი სახელი.

სტალინის სახელობის ცარიცინ-სტალინგრადის დაცვის მუზეუმი. გვიანი საღამოა, მისი დარბაზების დათვალიერება ვერ ხერხდება.

გურამი, ნანა, გეტა და სხვები წიგნებში წაკითხულით იგონებენ სტალინგრადის დაცვის გმირულ ეპოპეას. აქ ანადგურებდნენ ფაშისტთა ჯარებს როდიმცევის, გურევის, ბატიუკის და სხვათა ნაწილები. აქ „პავლოვის სახლში" პატარა რაზმი სერჟანტ პავლოვის მეთაურობით, 58 დღეს გმირულად იცავდა თავს, ხოლო შემდეგ შეტევაზე გადავიდა.

ვხედავთ ობელისკს, რომელიც 1920 წელს ცარიცინის დაცვაში გმირულად დაღუპულ მებრძოლებს დაუდგეს. აგერ ესპანელი მოხალისის, დოლორეს იბარურის შვილის — რუბენ იბარურის საფლავი. ესპანელი ვაჟკაციც ჩვენი თაობის უკეთესი მომავლისათვის იბრძოდა.

მოედანზე დიდი სტალინის მონუმენტური ძეგლია.

„მშვიდობის ქუჩა!" — იგი ლოზუნგია მშვიდობისა, იგი ლახვარია აგრესორების წინააღმდეგ მიმართული. ამ ქუჩის სანახავად მშვიდობისათვის მებრძოლი ადამიანები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოდიან. მისი ნახვა ოცნებად გვქონდა გადაქცეული. ვათვალიერებთ თითოეულ სახლს, ნარგავს, ქუჩის ყოველ დეტალს. ამ ახალი ქუჩის შექმნა ჩვენი სამშვიდობო მშენებლობის ერთ-ერთი გამარჯვებაა.

## 14. დიად ტრასაზე

ღამის 2 საათია. არა გვძინავს. ვარღვევთ რეჟიმს იმის გამო, რომ ჩქარა დაიწყება ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი. აგერ, გამოჩნდა კიდეც ი. ბ. სტალინის გრანდიოზული სკულპტურული ნაგებობა. გემის კაპიტანმა ერტახოვმა დიდი სტალინის მონუმენტი პროჟექტორებით გაანათა. მისი სიდიადით აღტაცებაში მოვდივართ.

მივცურავთ წინ. გამოჩნდა შუქურა, რომელიც პირველი რაბისაკენ გვაცილებს. რაბის შესავალი ტრიუმფალური თაღითაა დაგვირგვინებული. შევედით. ველოდებით სანამ წყლის დონე აიწევდეს. მივიღეთ გამაფრთხილებელი ნიშანი. რამდენიმე წუთის შემდეგ არხის ვიწირო გასავალში ჩავუა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



კაპიტანი ერტახოვი ესაუბრება ქართველ ნორჩ მოგზაურებს

რეთ გემ „პრავდას“. გავდივართ ხიდებქვეშ. ჩამოვიტოვეთ მეორე და მესამე რაბები. ჩვენ უკვე ვოლგაზე 30 მეტრით მაღლა ვიმყოფებით. ამ სამი რაბით მთავრდება კრასნოარმეისკის რაბების ჯგუფი.

შემდეგ, ღამით, ზედმიყოლებით 6 რაბი გაგვივლია — ტრასის ამ ნაწილს „ჩაპურნიკოვსკის კიბეს“ უწოდებენ.

დილით ადრე გავიარეთ მეათე რაბი. ვოლგიდან 88 მეტრის სიმაღლეზე ვართ. აი, მეთერთმეტე რაბიც — და ჩვენ უკვე მდინარე დონისაკენ ვეშვებით. 6 კილომეტრიც და კვლავ რაბში ამოვყავით თავი. აქედან ილევკამდე 19 კილომეტრია. აი, მოვედით კიდეც. ილევკის სამდინარო სადგურიდან რაღაც ას მეტრზე ჩანს მეცამეტე რაბის შესანიშნავი ხიდი. შევედით 5 კილომეტრის სიგრძის არხში, რომლის გაცურვის შემდეგ ციმლიანსკის ზღვაში გავალთ.

ციმლიანსკის ზღვის წარმოქმნის ისტორია ჩვენი ხალხის გმირული შრომის ისტორიის შესანიშნავი ფურცელია. „ნუთუ აქ ორიოდე წლის წინ ზღვა არ იყო?“ — უკვირს თამაზ ძოძუაშვილს,

დაბნელდა. შორიდან გამოჩნდა ციმლიანსკის ჰიდროკვანძი. მის გასწვრივ ლამპიონების ციმციმია. ჰიდროკვანძის ფრონტი 13,5 კმ-ზე გაშლილა. მივუახლოვდით მე-14 რაბის შესანიშნავ ხიდს. რამდენიმე წუთის შემდეგ შევდივართ მე-15 რაბში. მისი ნაგებობა არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენს. მის კოშკურაზე ცხენებზე ამხედრებული კაზაკების 9 მეტრიანი სკულპტურებია აღმართული.

9 აგვისტოს. მივყვებით დონის დინებას. უკან ჩამოვიტოვეთ კაზაკთა სტანიცები: სემიკორაკორსკაია, მელეხოვსკაია და ბოგაევსკაია. შესანიშნავია დონის სანაპიროთა პეიზაჟები. ჩვენთან ერთად მოხუცი მხატვარი მგზავრობს, მან საუბარში განაცხადა, რომ ბევრი უმოგზაურია, მაგრამ ასეთი შესანიშნავი პეიზაჟები იშვიათად შეხვედრია. გვაგონდება საქართველოს სამხედრო გზა, ალაზნისა და ბორჯომის ხეობები.

როსტოვი-დონზე — კავკასიის კარიბჭე. აქედან შეიძლება მოხვდე შავი ზღვის სანაპიროებზე, დაღესტანში, კრასნოდარის მხარეში, აზერბაიჯანში, სომხეთში და მშობლიურ საქართველოში.

* * *

აგერ, მცხეთაც. ჩვენი მოგზაურობა მთავრდება. ხელთ მომხვდა ლევან კავილაძის ჩანაწერები. ლევანი წერს:

„არა მჯერა, რომ ჩვენ ასეთი დიდი და საინტერესო გზა გავიარეთ, რა არ ვნახეთ: მოსკოვი, კრემლი, მეტრო, უნივერსიტეტი, ვოლგისპირა ქალაქები — გორკი, კუიბიშევი, სარატოვი, ყაზანი, სტალინგრადი... ვნახეთ ვოლგა-დონის არხი. განა ამ სიხარულის გადატანა ფურცლებზე შეიძლება?“

შინ მიგვეჩქარება. გვინდა ყველას გავანდოთ ჩვენი გულისნადები. ჩანაწერები წესრიგში მოგვყავს. პიონერთა სასახლეში ტოლები გველიან. მათ მოვუყვებით ნახულსა და განცდილს, მათაც ვურჩევთ გაემგზავრონ ამ შესანიშნავი მარშრუტით.

ჯიმშერ ენუქიძე

ფოტო ბ. კრეპსისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ალ. ბანძელაძისა

იულიუს ფუჩიკი

# საკანი № 267

★

მიმდინარე წლის სექტემბერში შესრულდა 10 წელი ჩეხოსლოვაკიის ხალხის გმირი შვილის იულიუს ფუჩიკის დაღუპვიდან. ვბეჭდავთ ნაწყვეტს წიგნიდან „რეპორტაჟი სახრჩობელადან“. ეს წიგნი ფუჩიკმა დასწერა ჰიტლერულ სატანჯაოში 1943 წელს. მან იცოდა, რომ უეჭველი სიკვდილი ელოდა. მაგრამ მუშაობას განაგრძობდა. ფუჩიკს მტკიცედ სწამდა, რომ დადგებოდა სხვა, ნათელი დღეები, მწერლის ოცნება ახდა. საბჭოთა არმია დაეხმარა ჩეხოსლოვაკიის ხალხს გაენთავისუფლებინა სამშობლო ფაშისტებისაგან. თავისუფლება და ბედნიერება სამუდამოდ დამკვიდრდა ამ ქვეყნის ყოველი მშრომელის სახლში.

★

შვიდი ნაბიჯია კარიდან ფანჯრამდე, შვიდი ნაბიჯია ფანჯრიდან კარამდე.

ეს უკვე კარგად ვიცი.

რამდენჯერმე გავზომე ეს მანძილი საპატიმროს საკნის ფიცრის იატაკზე! და, შეიძლება, სწორედ ამ საკანში ერთხელ მე უკვე ვიჯექი იმიტომ, რომ მეტად ნათლად ვხედავდი, როგორ დამღუპველი იყო ხალხისათვის ჩეხი მრეწველებისა და ვაჭრების პოლიტიკა! და აი, ახლა ჩემ ხალხს ჯვარს აცვამენ, დერეფანში კარს უკან ფაშისტთა მეთვალყურეები დადიან, სადღაც საპატიმროს გარეთ კი ბრმა პოლიტიკური მკითხავები ღალატის ძაფს ისევ ხლართავენ. რამდენი საუკუნე სჭირდება კაცობრიობას იმისათვის, რომ გაიგოს, გარშემო რა ხდება!

საპატიმროს რამდენი ათასი საკანი გაუვლიათ მის წარმომადგენლებს პროგრესისაკენ მიმავალ გზაზე? და კიდევ რამდენს გაივლიან? დასასრული კი არა ჩანს, და მსოფლიო მაინც ძილს არ მისცემია, არ სძინავს.

შვიდი ნაბიჯი იქით, შვიდი ნაბიჯი აქით, ერთ კედელზე ჩამოსახსნელი საწოლია, მეორეზე — გამურული პატარა თარო, გულის დამღონებელი, თიხის ჭურჭლით. დიახ, ყოველივე ეს ჩემთვის ნაცნობია. ახლა, მართლა, ზოგი რამ მექანიზებულია: მოწყობილია ცენტრალური გათბობა, მთავარი კი ის არის, რომ მექანიზებულია ადამიანები, პატიმრები ვალდებულნი არიან იყვნენ ავტომატები. ღილს თითი დააჭირეთ, ესე იგი კლიტეში გასაღები გააჩხარუნეთ ან გააღეთ საჭვრეტი, და პატიმრები წამოხტებიან, რასაც არ უნდა აკეთებდნენ, სიმივით გაიჭიმებიან. ფართოდ იღება კარი და საკანის მამასახლისი სულმოუთქმელად წამოიძახებს:

— ახტუნგ! ნომერორასსამოცდამეშვიდესაკანშიპატიმარიასამიყველაფერირიგზეა.

ასე. 267, ეს ჩვენი საკანია.

მაგრამ ჩვენთან ავტომატი დაზიანებულია. მხოლოდ ორი წამოხტება. მე ფანჯარასთან ვწევარ ლოგინზე. ვწევარ პირქვე, ერთი კვირა, ორი კვირა. თვე, თვე-ნახევარი, და ისევ ვუბრუნდები სიცოცხლეს: უკვე თავს ვაბრუნებ, უკვე ხელს ვწევ, უკვე ნიდაყვებზე წამოვიწევი, ზურგზე გადაბრუნებასაც ვცდილობ. რა თქმა უნდა, აღწერა უფრო ადვილია, ვიდრე ყოველივე ამის გადატანა.

საკანიც გამოიცვალა. კარზე, ნაცვლად სამიანისა, ჰკიდია ორიანი. ახლა მხოლოდ ორნი ვართ: „მამილო“ და მე.

„მამილო“ არის 60 წლის მასწავლებელი იოზეფ პეშეკი, სკოლის უფროსი მასწავლებელი. ოთხმოცდახუთი დღით ჩემზე ადრე დააპატიმრეს „გერმანიის იმპერიის წინააღმდეგ შეთქმულებისათვის“, რაც გამოიხატა იმაში, რომ იგი თავისუფალი ჩეხური სკოლის რეფორმის პროექტს ამუშავებდა.

„მამილო“ არის... მაგრამ იგი როგორ აღვწერო? ეს ძნელი საქმეა! ორი ადამიანი, ერთი საკანი და ცხოვრების ერთი წელი. ამ წლის განმავლობაში მეტ სახელს „მამილოს“ ბრჭყალები მოსცილდა, ამ ერთი წლის განმავლობაში სხვადასხვა ასაკის ორი პატიმარი მართლაც მამა და შვილი გახდა, ამ წელიწადში ჩვენ შევითვისეთ ერთმანეთის ჩვევები, აჩემებული სიტყვები და ერთმანეთის ხმის კილოც. მოდი და გაარჩიე ახლა, რა იყო ჩემი და რა მისი, მამილოსი. რითი მოვიდა საკანში იგი ან მე...

ღამით იგი ფხიზლობდა ჩემს სასთუმალთან და მოახლოებულ სიკვდილს სველი საფენით მინელებდა. ჭრილობებიდან თავდადებით მაცლიდა ბალღამს და არასოდეს მამჩნევინებდა, რომ ლეიბის ლპობის სუნს გრძნობდა. მირეცხდა და მიკერებდა საცოდავ ნაფლეთებს ჩემი პერანგისას, რომელიც პირველი დაკითხვის მსხვერპლი გახდა; როდესაც პერანგი საბოლოოდ დაიფლითა, თავისი პერანგი ჩამაცვა. ზიზილა და ბალახის ღერი მომიტანა, ისინი დილის ნახევარსაათიანი სეირნობის



ჩვენი საკანი ჩრდილოეთის ნახევარზეა, მხოლოდ იშვიათად, ზაფხულში, როცა ცა მოწმენდილია, ვხედავთ მზეს.

დროს მოსწყვიტა. ამისათვის მოსალოდნელ დასჯას არ შეუშინდა. როდესაც ახალ დაკითხვაზე წამიყვანდნენ, ალერსიანი გამოხედვით გამაცილებდა; როდესაც ვბრუნდებოდი, ჩემს ახალ ჭრილობებზე ახალ კომპრესებს მადებდა. ღამით ფხიზლობდა, დაკითხვებიდან ჩემს დაბრუნებას ელოდებოდა და დასაძინებლად არ წვებოდა, სანამ მე არ დამაწვენდა, ზრუნვით საბანს არ დამახურავდა.

ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა. იგი არც შემდეგ შეცვლილა, როდესაც შემეძლო ფეხზე დგომა და მამაშვილური მოვალეობის გადახდა...

საკანი № 267 გამოცოცხლებული იყო.

თითქმის ყოველ საათში კარი ილებოდა და მეთვალყურეები შემოდიოდნენ. ეს იყო წესებით სავალდებულო გაძლიერებული მეთვალყურეობა დიდი „კომუნისტური დამნაშავის“ მიმართ, მაგრამ ამას გარდა, მე სწორედ ცნობისმოყვარეობას ვიწვევდი...

პეჩეკის სასახლის გესტაპოელ უფროსებს მოთმინება აღარ ჰყოფნით; ჩემს საწამებლად გზავნიან კაცს და, რადგანაც ფერშალი გამოძახებაზე ყოველთვის აწერს Transportunfähiq (მოძრაობა არ შეუძლია), ისინი განკარგულებას იძლევიან, რანაირადაც მოხერხდეს მოგვიყვანეთო. და აი, ორი პატიმარი მედერეფნის ტანსაცმელში ჩვენი საკანის კარებთან საკაცეს დგამს. მამილო გაჭირვებით მაცმევს ტანისამოსს, ისინი საკაცეზე მაწვენენ და წამიღებენ...

საპატიმროს ეზოში საკაცე საბარგო მანქანაზე დადეს, ორი ესესელი მძღოლთან დაჯდა, დანარჩენი ორი ჩემს სასთუმალთან დადგა. ხელი რევოლვერის გახსნილ ბუდეზე უდევთ. და ჩვენ გავემგზავრეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა სანიმუშო არაა: ერთი ორმო, მეორე... ორასი მეტრიც არ გაგვივლია, რომ გული წამივიდა. ეს იყო სასაცილო მგზავრობა: ხუთტონიანი საბარგო მანქანა, ოცდაათი პატიმრის გადასაყვანად დანიშნული, ბენზინს ერთადერთი ტუსაღისათვის ხარჯავს, და ოთხი ესესელი ხელში რევოლვერებით ირგვლივ მძვინვარედ იცქირება, უგრძნობ სხეულს დარაჯობს, არ გაგვექცესო.

მეორე დღეს გართობა განმეორდა. ამჯერად თვით სასახლემდე გავძელი. დაკითხვა დიდხანს არ გაგრძელებულა. გესტაპოელი ფრიდრიხი არაფრთხილად „შემეხო“ და უკან ისევ გულწასული წამომიყვანეს.

დადგა დღეები, როდესაც საეჭვო აღარ იყო, რომ ცოცხალი ვიყავი: ტკივილი—ღვიძლი და სიცოცხლისა—მეტად საგრძნობად მახსენებდა ამას.

საპატიმრომ უკვე გაიგო, რომ რაღაც დაუდევრობით მე ცოცხალი დავრჩი და სალამს მიგზავნის. იგი ფრთხილი კაკუნით სქელ კედლებს გაივლის და ჩემამდე აღწევს, სალამს საჭმლის მომტან მედერეფნეთა თვალებშიც ვხედავდი.

მხოლოდ ცოლმა არ იცოდა ჩემზე არაფერი. იგი ქვედა სართულზე ცხოვრობდა, მარტო ჩაკეტილი საკანში, შიშსა და იმედს შეეპყრო იმ დღემდე, როდესაც მეზობელმა ქალმა დილის სეირნობის დროს ჩასჩურჩულა; ფუჩიკს დაკითხვისას სცემეს და საკანში მოკვდაო.

მეორე დღეს კი ახალი ცნობა — ცემით კი არ მოუვმკვდარვარ, არამედ წამება ვერ ამიტანია და საკანში თავი ჩამომიხჩვია.

ამ დროს მე ხმელ ლეიბზე ვეგდე და ყოველ საღამოს, ყოველ დილას დაჟინებით გვერდზე გადავტრიალდებოდი, რათა მემღერა სიმღერები, რომლებიც გუსტას ასე უყვარდა. როგორ შეეძლო იმას ეს სიმღერები არ გაეგონა, მე ხომ მათში იმდენ გრძნობას ვათავსებდი!

ახლა მან უკვე იცის ჩემი ამბავი. ახლა მას უკვე ესმის ჩემი სიმღერები, თუმცა ჩვენ ამჟამად უფრო შორსა ვართ ერთმანეთისაგან, ვიდრე მაშინ. ახლა უკვე საპატიმროს მეთვალყურეებმაც იციან და მიეჩვივნენ იმას, რომ № 267 საკანში მღერიან.

საკანი № 267 მღერის. მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ვმღეროდი და არ ვიცი, სიმღერას რის გულისათვის დავშორდე ახლა, აღსასრულის წინ, როცა სიცოცხლე განსაკუთრებული სიმძაფრით იგრძნობა.

მამილო პეშეკი კი? ეს სწორედ შესანიშნავია: სიმღერა მასაც ძალიან უყვარს, არც სმენა, არც მუსიკალური მეხსიერება არა აქვს. მაგრამ სიმღერა უყვარს ისე კარგი და ჭეშმარიტი სიყვარულით და მასში იმდენ სიხარულს ჰპოვებს, რომ მე ვერც კი ვამჩნევ, ერთი ტონიდან მეორეზე რომ გადახტება და ჯიუტად იღებს „სოლს“ იქ, სადაც საჭიროა „ლა“.

და ჩვენ ვმღერით. ვმღერით, როდესაც სევდა შემოგვაწვება, ვმღერით, როდესაც მზიანი დღე დადგება, სიმღერით ვაცილებთ ამხანაგს, რომელსაც, ალბათ, ვერასოდეს ვნახავთ. სიმღერით მივესალმებით ხოლმე კარგ ცნობებს ბრძოლებზე აღმოსავლეთში, ვმღერით გასამხნევებლად და ვმღერით სიხარულისაგან, როგორც ადამიანები მღერიან უხსოვარი დროიდან და იმღერებენ, სანამ სიცოცხლე არსებობს.

უსიმღეროდ არ არის სიცოცხლე, როგორც არ არის უმზეოდ. ჩვენ კი სიმღერა ორმაგად გვჭირდება, რადგან მზე ჩვენთან არ შემოიხედავს ხოლმე — საკანი № 267 ჩრდილოეთის მხარეზეა. მხოლოდ ზაფხულში საკანის დასავლეთ კედელს ერთი წამით მოეფინება მზის სხივი გისოსის ჩრდილთან ერთად.

მამილო დგას, საწოლს მიყრდნობილი, და ამ მკრთალ შუქს უცქერის. მისი გამოხედვა უზომოდ სევდიანია.

მზე! ასე უხვად ანათებს ეს მრგვალი ჯადოქარი. ამდენ სასწაულს ახდენს ადამიანთა თვალწინ, მაგრამ რა ცოტა ხალხი ცხოვრობს მზის სინათლეში!

დიახ, მზე გამოანათებს და ადამიანები მის სხივებში იცხოვრებენ.

რა საუცხოოა ამის შეგნება! და მაინც გინდა იცოდე კიდევ რაღაც, განუზომლად ნაკლებმნიშვნელოვანი: ჩვენთვისაც გამოანათებს მზე კიდევ?

ჩვენი საკანი ჩრდილოეთის მხარეზეა. მხოლოდ იშვიათად, ზაფხულში, როცა ცა მოწმენდილია, ვხედავთ ჩამავალ მზეს. ეჰ, მამილო, როგორ მინდა ერთხელ კიდევ ვიხილო მზის ამოსვლა!

თარგმნა იროდიონ ქავჟარაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა



გრიგოლ იმედაძე

# კომბაინერის შვილი

რად მეძახიან არ ვიცი
ყაჩაღანას და თამამს,
ყველას ხომ არ ჰყავს ჩემსავით
კომბაინერი მამა!

რად არ ვიქნები ამაყი,
რად არ ვიქნები გამრჯე;
ერთ ხელში წიგნი მიჭირავს,
მეორე ხელში საჭე!

ხეს რომ რტოები ავჭერი —
მოსაჩრდილებლად მინდა.
მეც კომბაინზე დავჯდები,
სიცხე იქნება მინდვრად.

ხანდახან საჭეს დამითმობს
ჯმუხი მამილო ჩემი
და სიამაყით გახედავს
ფართობს, ღიმილის მჩენი.

იქნება ფიქრობთ პურს ვიღებთ
და თავთავებში ვცურავთ!
ჩვენი სამკალი სულ სხვაა,
თავთუხს არა ჰგავს სულაც.

ჯერ ავჭრით, ისე ავცელავთ
შემომჭკნარ ღერო-ბურდოს,
როგორც ომის დროს ცელავდნენ
ჯარისკაცები ურდოს.

ღეროს ვიყენებთ სილოსად,
მაგრამ სხვა არის ძირი —
ძირი კი არა — ტუბერი,
ტუბერი გახლავთ ძვირი.

ძვირი კი არა — ძვირფასი,
ყველას ასე რომ გვიყვარს.
თქვენი არ ვიცი, მე მუდამ
მისი ტრფიალი ვიყავ.

ვიყავ კი არა — ახლაც ვარ
მოსიყვარულე მისი.
ამიტომაა რომ ველად
ჩემი სიმღერა ისმის.

ისმის კი არა, გუგუნებს,
ტრაქტორის გუგუნს ჰფარავს.
და კარტოფილი ხვავდება,
თითქოს გაშლილა ფარა.

კომბაინერის შვილი ვარ,
გვაქვს კარტოფილის რთველი...
რა მანქანაა, რა სწრაფი,
თუ ქარხანაა მთელი?!.

მიწიდან ისე ამოაქვს,
თითქო თავთუხებს მკიდეს.
თხრის, ასუფთავებს, აგროვებს
ის კალათებში კიდეც.

მერე, როდესაც მოითხოვს —
სოფელ-ქალაქი ჩვენგან,
ავტოს აღალი გუგუნით
ჩამოარიგებს ყველგან.

აი, გახედე! სავსეა
მთელი ქვეყანა ხვავით!
ბოსტნები რაღა გამოჩნდეს,
ვრცელი სტეპები ჰყავის.

ჰყავის, ბიბინებს ყოველი,
როგორც ედემი შლილი
და უქმად როგორ ვიქნები
კომბაინერის შვილი!

შვილი კი არა, თვითონ ვარ
კომბაინერი ახლა.
მალე გავხდები ოსტატი,
მალე შრომის გმირს მნახავთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლავრენტი ჭიჭინაძე

ნახ. ზ. ლეჟავასი

# თანაკლასელები*

გამოცდები დამთავრდა. მერვეკლასელები უკანასკნელად მოვიდნენ სკოლაში. აქამდე თუ წიგნებით სავსე ჩანთები დაჰქონდათ, ახლა ხელცარიელები დასეირნობენ. გამოცდების შედეგების გამოცხადების მოლოდინში ღელავენ.

— ყველანი აქ ვართ, რატომ არ მოდის ნეტავ ჩვენი კლასის ხელმძღვანელი?—თავისთვის ბუტბუტებს ერთი ყმაწვილი.

ამ სიტყვებს ყური მოჰკრა გელამ, რომელიც დერეფანში მოუსვენრად დარბოდა, ხან ერთს დაეტაკებოდა, ხან მეორეს, ზოგს ზურგზე ახტებოდა.

— ილია, შენ გეგონა ყველანი აქ ვიყავით, მაგრამ შეხედე, გივი ახლა მოდის.—უცებ გელამ ზურგი შეაქცია ილიას და გივისაკენ გაიქცა,—ბიჭო, შენ ჩვენს კლასში პირველი მოსწავლე ხარ და რა ყველაზე გვიან მოხვედი?

— შენ თუ ადრე მოდი, რა გააკეთე?—ღიმილით შეეკითხა გივი.

— ამხანაგებო, შეხედეთ, გივის რა კარგი ვარდი მოუტანია!—დაიყვირა გელამ.

— თვითონაც კარგი ბიჭი გახლავს,—უპასუხა ილიამ.

— მე რით ვარ მაგაზე ნაკლები? რვა კლასის დამთავრების მოწმობას ეგ თუ მიიღებს, მეც ხომ მივიღებ.

— არა, ეს ვარდი მე უფრო მომიხდება,—გელამ ახლა ისევ გივის მიმართა.

— რას ჩამაცივდი, ბიჭო, მომეშვი, დამანებე თავი.—უთხრა გივიმ და ვარდი მოარიდა გელას.

— შენ კი არ ჩაგაცივდი, მე ეგ ვარდი მინდა.—თქვა გელამ და უცებ ვარდი ხელიდან გამოსტაცა, ლამაზი ფურცლები სულ დააყრევინა.

გივის გული დაწყდა.

კამათი და კინკლაობა შეიძლება კიდევ გაგრძელებულიყო, რომ სამასწავლებლოდან მასწავლებლები არ გამოსულიყვნენ. მერვე კლასის ხელმძღვანელიც გამოვიდა, თან მოჰქონდა ჟურნალი.

— ნინო მასწავლებელი მოდის, მოდის ჩვენი კლასის ხელმძღვანელი,—აყიჟინდნენ მერვეკლასელებიც.

ისინი კლასისაკენ გაიქცნენ. მასწავლებლის მოსვლამდე ბავშვები მერხებზე ჩამწკრივდნენ, მხოლოდ ერთი ადგილი დარჩა თავისუფალი. ეს გელას ადგილი იყო. მაგრამ ბიჭუნა კარებთან დახვდა მასწავლებელს, გვერდზე ჩამოდგა, საკლასო ოთახისაკენ ხელი გაიქნია და თავაზიანად თქვა:

— პატივცემულო მასწავლებელო, მობრძანდით!

— აი შე დაუდეგარო, ეგ თავაზიანობა ცუდი როდი არის, მაგრამ არ იცი სად უნდა გამოიყენო,—სიცილით მიმართა მასწავლებელმა,—გელა ნუთუ არ იცი, რომ გაკვეთილის დაწყების წინ კლასში მასწავლებელზე ადრე მოსწავლეები შედიან.

— ბოდიში, პატივცემულო მასწავლებელო!

— არა გრცხვენია? ეს ხომ რვა წლის წინათ უნდა გესწავლა. გაიქეცი, ჩქარა შენი ადგილი დაიკავე!

პირველკლასელებთან შედარებამ მთლად ცუდ გუნებაზე დააყენა გელა, რამდენჯერმე მოიხადა ბოდიში და ასე ბოდიშით შევიდა კლასში.

ნინომ დიდი ჟურნალი გაშალა და მოსწავლეებს მიმართა:—ყმაწვილებო, დამთავრდა ეს სასწავლო წელიც. მე არ ვემდური თქვენ კლასს, ერთადერთ მოსწავლეს გამოჰყვა საშემოდგომო გამოცდა ერთ საგანში, ხუთოსანიც ერთი გვყავს, ხოლო უმრავლესობა ოთხოსანია.

---

* იბეჭდება შემოკლებით.

მოსწავლეები სულგანაბული უსმენენ მასწავლებელს. ყველანი დაინტერესებული არიან, როგორც თავიანთი ნიშნებით, აგრეთვე ამხანაგების წარმატებითაც.

გივი ყოველთვის ხუთოსანი იყო, მაგრამ ახლაც რომ ხუთოსანი აღმოჩნდა, ამხანაგებმა სიხარულით მიულოცეს, სამაგიეროდ, ყველანი შეწუხდნენ გელას საშემოდგომო გამოცდით.

ბავშვებმა მადლობა გადაუხადეს მასწავლებელს.

— მშვიდობით, ყმაწვილებო!—ნინომ მხიარულ ბავშვებს გადახედა.

მასწავლებელი სამასწავლებლომდე მიაცილეს მოსწავლეებმა. ყველაზე ბოლოს დაღვრემილი გელა მიაბიჯებდა.

გელას ბევრი ამხანაგი იმავე სკოლის მეცხრე კლასში აპირებს სწავლის გაგრძელებას, ზოგს კი ტექნიკუმში შესვლა გადაუწყვეტია. ბიჭები მოდიან ჩოჩქოლით და მხიარულ ზაფხულზე, მშობლიურ მხარეში მოგზაურობაზე, გართობა-დასვენებაზე ლაპარაკობენ, მხიარული ხმაურით ტოვებენ სკოლას. ახლა ყველაზე წყნარად გელა მოაბიჯებს.

— ამ ზაფხულს სულ მამაჩემთან ერთად ვივლი სანადიროდ,—თქვა ერთმა.

— მე და გივი გოდერძიშვილი ტურისტულ მოგზაურობას ვაპირებთ,—დაუმატა მეორემ.

— ეეხ,—ამოიოხრა გელამ,—ორიანი რომ არ გამომყოლოდა, მეც წამოვიდოდი.

— შენ გაისად წამოდი.—დაამედა ილიამ.

ამაზე გელა იმდენად არ დარდობდა, მას ახლა უფრო ის აღონებდა, რომ საშემოდგომო გამოცდა გამოჰყვა და არ იცოდა როგორ გაემხილა მშობლებისათვის. რაც უფრო უახლოვდებოდა სახლს, უფრო მეტ საგონებელში ვარდებოდა.

* * *

პროექტის ხაზვით გართულმა ალექსანდრემ ახლა კი შეისვენა, თვალები ნამძინარევივით მოიფშვნიტა და ჯერ თავის მაჯის საათს დახედა, ხოლო მერე კედლის საათისაკენ გაიხედა:

— რას ემართლები ამ საათს? მშვენივრად მუშაობს. ჩემ საათშიც სამის ნახევარია.

— მაშ, გელა რატომ არ მოვიდა აქამდე? დღეს ხომ მხოლოდ შედეგებს გამოუცხადებდნენ.

ამ დროს პატარა ოთახიდან ფეხის ხმა შემოესმათ.

— მგონი მოსულა.—თქვა დედამ.

— გელა!—გასძახა ალექსანდრემ.

ბიჭმა უხმოდ გააღო კარი. იგი გაშლილი რვეულით გამოვიდა დაღვრემილი, დაფიქრებული.

— ყმაწვილო, რაშია საქმე? რა ჩუმად დაიარები? შენ ასე წყნარად სიარული რომ არ გიყვარდა?—გაკვირვებით შეეკითხა მამა.

— ამოცანის ამოხსნაზე ვმუშაობდი.

დედას არ მოეწონა გელას დღევანდელი ბეჯითობა და ხელი შემოიკრა ლოყაზე.

— შვილო, ახლა გვიან არის მაგ ამოცანის ამოხსნა, ეგ გაისად ამოხსენი, ახლა კი დღევანდელი ამბავი მიამბე, მე თუმცა ყველაფერი ვიცი, განა ტყუილად მიბარებდნენ სკოლაში შენი მასწავლებლები.

— გელა!—ახლა მამამაც მიმართა.—აბა, გვითხარი! გაგვახარე შენი კარგი ამბით.

გელა მუნჯივით არის გაჩერებული.

— სთქვი! ნუ გრცხვენია, ამხანაგებმა ხომ არ გაგასწრეს? —კვლავ მიმართა მამამ.

— გამასწრეს,—გელამ ძლივს წაილუღლუღა,—ალგებრაში მაქვს საშემოდგომო გამოცდა.—ლაპარაკობს და თვალს ვერ უსწორებს ვერც დედას და ვერც მამას.

სიჩუმე ჩამოვარდა, გელა ადგილიდან არ ინძრევა. დედა განცვიფრებული თვალებით შეჰყურებს შვილს.

ალექსანდრემ ოთახში გაიარ-გამოიარა, თითქოს დარდი გადაიყარა გულიდან, გაიღიმა და გელას უთხრა:

— შენ ვერ გამახარე, მაგრამ მაინც გიყიდი ფოტოაპარატს, ხომ გინდა?

— არა, არ მინდა.

— რატომ?—გაკვირვებით შეეკითხა მამა.

გელამ არაფერი არ უპასუხა.

— შენი ამხანაგები ალბათ წელსაც მიიღებენ მონაწილეობას ტურისტულ ლაშქრობაში.

— წელსაც აპირებენ,—უგუნებოდ უპასუხა გელამ.

— ოროსნებს, საუბედუროდ, არც ტურისტულ ლაშქრობაში მონაწილეობის უფლება აქვთ.—ნაღვლიანად ჩაილაპარაკა დედამ.

* * *

გელა კვლავ თავის სამეცადინო მაგიდასთან ათევს. მეცადინეობს, ყოველ წესს დაკვირვებით სწავლობს. რამდენიმე წესი კარგად შეისწავლა და მათი მიხედვით მაგალითებიც რომ ამოხსნა, ძალიან გაუხარდა. ახლა უფრო მეტად დარწმუნდა, რომ თავის სიტყვას გაამართლებდა. გელამ ორიოდე კვირის განმავლობაში იმდენი რამ შეისწავლა და იმდენ საკითხში გაერკვა, რომ გათამამებულმა მამას უთხრა:

— ასე რომ თავის დროზე მესწავლა, მაშინ ხომ არც ამ სამარცხვინო მდგომარეობაში ჩავვარდებოდი. ახლა ალგებრას სამიანზე კი არა ოთხიანზეც ჩავაბარებ.

— თავის დროზე რომ ასე გულდასმით გესწავლა, ზაფხული უფრო შეგერგებოდა.—უთხრა მეცადინეობაში გართულ შვილს დედამ.

— სოფელში ხომ გამიშვებ?

— გითხარი და შევასრულებ კიდეც, გაგიშვებ.

* * *

ერთ კვირა დღეს გელა სოფლად ბიძასთან გაემგზავრა.

სოფელში გელას ჩასვლის ამბავი მაშინვე გაიგეს მისმა ნაცნობმა ბიჭებმა და იმ დღესვე ესტუმრნენ. ყველაზე გვიან გამოჩნდა გელას კარგი მეგობარი რეზო. ისინი სიხარულით შეხვდნენ ერთმანეთს.

— რეზო, ბიჭო, სად იყავი ამდენ ხანს?—საყვედურის კილოთი მიმართა გელამ.—ყველა მოვიდა, შენ რატომ დაიგვიანე?

— ვმუშაობ, ვერ მოვიცალე შენ როგორა ხარ? როგორ სწავლობ ხომ დაამთავრე რვა კლასი?

გელას თითქოს ეს სიტყვები არ გაუგონია. მან საუბარი სხვა საკითხზე გადაიტანა:

— თბილისში სწავლას რომ მოვრჩით, ბევრი ჩემი ამხანაგი ნორჩი ტურისტების ჯგუფში ჩაეწერა. პიონერთა სასახლეში უკვე რამდენიმე ჯგუფი იყო შექმნილი. ყველას მარშრუტი სხვადასხვა იყო. როგორც გავიგე, ერთი-ერთი ჯგუფი ლიხის მთის გადმოვლით აქეთ აპირებდა წამოსვლას, ხოლო აქედან სამხრეთ საქართველოსაკენ აიღებენ მიმართულებას. ბიჭებო, მოდით ჩვენც შევუდგეთ ამ მიდამოების შესწავლას, ვიმოგზაუროთ.

— ამ სოფელში რა უნდა ვნახოთ?!—გაკვირვებით წამოიძახა რეზომ.—აქაური მე ყველაფერი ვიცი. თუ გინდა, სად რომელი ქვა აგდია, იმასაც გეტყვი.

— რაკი ასეა, აბა, ერთი ეს მითხარი: ქვა აგდია და დაკვირვებიხარ?

რეზო ასეთ შეკითხვას არ მოელოდა, ჩაფიქრდა, რაღაც ყოყმანი დაიწყო და მერე მოკლედ უპასუხა:

— არა.

— მაშ, ეს მითხარი: რამდენი ხალხური ლექსი და ზღაპარი გაქვს ჩაწერილი?

— ზღაპრების ჩასაწერად სად მეცალა.

— ამ საქმისათვის დროს გამონახვა ცუდი არ იქნებოდა.

— გელა, რატომ იმას არ მეკითხები: სახლში რომ კარგი სკამები გვაქვს, იმას სად ამზადებენთქო?—რეზომ სკამები მოაგონა.

გელას ეს შეკითხვა უცნაურად და უადგილოდ მოეჩვენა:

— ბიჭო, საბჭოთა კავშირში რამდენი ქარხანაა, ყველას კი ვერ ვნახავთ. ჩვენ ისინი დავათვალიეროთ, რომლებიც აქ, ჩვენთან ახლოს არიან...

— სწორედ ეს ქარხანა ახლო არის, ჩვენს რაიონშია.

— ნუთუ მართლა?! აუცილებლად უნდა ვნახო, როგორ ამზადებენ სკამებს. ხომ მაჩვენებ?

— ვნახოთ,—აღუთქვა რეზომ.—აქ ძველი მონასტერიც არის სოფელ უბისში.

— ამხანაგებო, აქ ბევრი რამ ყოფილა საინტერესო. ალბათ თბილისელებსაც ამიტომ გადაუწყვეტიათ აქეთ წამოსვლა. ყველაფერი უნდა ვნახოთ, მაგრამ ყველგან ერთ დღეს ვერ წავალთ. მივყვეთ თავიდან, ზოგი დღეს შევისწავლოთ, ზოგი ხვალ. ჩემი წინადადება იქნება, პირველი მოგზაურობა მოვაწყოთ კვირას,—თქვა გელამ.

ეს წინადადება ერთხმად მიიღეს.

კვირამდე დარჩენილმა დღეებმა უცებ გაირბინეს მუშაობაში. გელა ხან ალგებრას იმეორებდა, ხან კოლმეურნეებთან მუშაობდა. ისე შეეჩვია თოხს, რომ სამარგელში გელას თავისი ტოლი ბიჭები ველარც კიასწრებდნენ. პირობის თანახმად ისინი კვირა დილას ადრე შეიკრიბნენ. ყველანი ტურისტებივით იყვნენ გამოწყობილი. კოხტად ჰქონდათ მორგებული ზურგჩანთები, ხელში გრძელი ჯოხები ეჭირათ. გელა აურჩევლად კისრულობს ხელმძღვანელობას.

— ბიჭებო, დღეს მდინარე ჩხერიმელა შევისწავლოთ. ავყვეთ სათავისაკენ. ჩხერიმელას სათავე აქედან შორს არ იქნება. იქნებ იქამდე ავაღწიოთ, ვნახოთ სად იბადება, დავაკვირდეთ, როგორი სილა მოაქვს.

— ჩხერიმელა?!—ისე გაკვირვებით წარმოთქვა რეზომ ამ პატარა მდინარის სახელი, თითქოს ახლა პირველად გაიგონაო.—ეს რა მდინარეა, პატარაა ძალიან. ამისათვის დავკარგოთ მთელი დღე? თუმცა, როგორც გუშინ გავიგე, ამ ჩვენი პატარა მდინარის სათავესთან ახალგაზრდა ტურისტების ჯგუფი უნახავთ...

— უთუოდ თბილისიდან იქნებიან,—სიტყვა შეაწყვეტინა გელამ.

— ეგ აღარ ვიცი...

— თუ თბილისიდან არიან, ზოგ მათგანს ალბათ კიდეც ვიცნობ.

— მე მაინც დროს დაკარგვად მიმაჩნია ამ მდინარის ნაპირებზე სიარული,—ამბობს რეზო,—ამის სახელი და არსებობა ჩვენს მეტმა არავინ იცის. საქართველოს გეოგრაფიას რომ ვსწავლობდით, ჩხერიმელა სულ არ გამიგონია.

ყმაწვილების დავა მარშრუტის არჩევაზე, როგორც იქნა, დამთავრდა. გელამ თავისი გაიტანა, ჩხერიმელას ხეობა აირჩიეს. ბიჭები ჟივჟივით დაეშვნენ თავდაღმართზე და ერთ წუთში აღმოჩნდნენ მდინარის ნაპირზე.

— მართლა რა პატარა ყოფილა. ამ დღეებში წვიმა თუ არ მოვიდა, ალბათ დაშრება კიდეც,—ლაპარაკობს თავისთვის გელა და მდინარეს ხან ზემოთ გაჰყურებს, ხან ქვემოთ.

— არც ეგრე დაცინვის ღირსია ჩვენი ჩხერიმელა. ეს დამშრალი არავის უნახავს, ხოლო ადიდებულისა და გაგიჟებულის მომსწრენი ჩემისთანა პატარებიც კი არიან,—მიუგო რეზომ.

— ეგ რა საინტერესო რამ მითხარი. შეიძლება ძალიან ადიდდეს?

— უცნაური მდინარეა, აქ ხანდახან მზიანი დღე ყოფილა, როცა ეს მდინარე ადიდებულა ხოლმე.

ბიჭები მდინარის სათავისაკენ შეჰყვნენ. ყველაფერს უკვირდებიან: ჩამონგრეულ სანაპიროს, ქვებს, სილას. კარგა შორი მანძილი გაიარეს. სოფელი უკან მოიტოვეს. გელამ რამდენიმე ქვის ნატეხი ჩააგდო თავის ჩანთაში. სოფლელი ყმაწვილებიც დაინტერესდნენ. მათ თუ აქამდე ერთი ქვაც არ აუღიათ მდინარე ჩხერიმელას კალაპოტიდან, ახლა ლამის ჩანთები სულ ქვებით აავსონ, სხვადასხვანაირი ქვებით.

ერთ ადგილზე, სადაც წყალი ძლივს ფარავდა სილას, გელას ყურადღება მიიქცია რაღაც ბრჭყვიალა ნამცეცებმა. ამ ადგილზე კარგა ხანს შეაგვიანდა. ბოლოს ამხანაგებმა გადმოსძახეს ზემოდან:

— გელა, ხომ არაფერი აღმოაჩინე?

— მოდით, ბიჭებო, მოდით, აბა, თქვენც დაუკვირდით!

— უცებ ყველანი გელასთან მოგროვდნენ, სილაც აიღეს.

— დახედეთ, ეს ბრჭყვიალა ნამცეცები ოქროს არა ჰგვანან?

ყმაწვილებმა ოქროს სახელი რომ გაიგონეს, უფრო გულდასმით დაუკვირდნენ.

— ეს რომ ოქრო ყოფილიყო, მეცნიერები ჩვენზე ადრე მონახავდნენ.—თქვა რეზომ.

— არა ხარ სწორი, განა მეცნიერები ყველგან ყოფილან და ყველაფერი უნახავთ? ბევრი რამ დარჩა აღმოსაჩენი. თორემ ერთბაშად ოქრო არ აღმოაჩინო!

ბიჭებმა ერთბაშად გაიცინეს. მათი სიცილი რეზოსადმი თანაგრძნობას გამოხატავდა.

გელამ გაიღიმა:

— უსაქმო ლაპარაკში დრო უბრალოდ გვეკარგება, მოდით მუშაობას შევუდგეთ.

— აქ რა სამუშაოა?—იკითხა ერთ-ერთმა ბიჭმა.

— სულ ადვილი... სილა ავიტანოთ იმ ჩრდილში და ეს ბრჭყვიალა, ოქროსფერი ნამცეცები გამოვარჩიოთ,—უთხრა მას გელამ,—მერე გეოლოგს ვაჩვენოთ.

ისინი მართლაც ასე მოიქცნენ: სილა ჩრდილში აიტანეს. დასხდნენ, გაშალეს ქაღალდები და ოქროსფერი პაწაწინა ნამცეცების გამორჩევას შეუდგნენ. იმ დროს, როცა ბავშვები საქმიანობაში იყვნენ გართული, ზემო მხრიდან, მთებში ქუხილი გაისმა. რეზომ და მისმა ამხანაგებმა არც კი მიაქციეს ამას ყურადღება, გელამ კი გაკვირვებით წამოიძახა:

— აქ ასეთი სიცხეა და ზემოთკენ ეს რა დიდი ჭექა-ქუხილის ხმა ისმის?!

— ჯერ რაა, შენ მერე ნახე!—დააინტერესა რეზომ.

— რა იქნება აგრე საკვირველი სანახავი?—ჩაეძია გელა.

— იქ ალბათ წვიმა არის და ეს გამქრალი მდინარე ცოტა ხნის შემდეგ გიჟივით მოვარდება. დიდი გადარეული რამ არის ჩვენი ჩხერიმელა.

— ეგ თუ მართლა მოხდა, რა კარგი მასალა მექნება ჩემი დღიურისათვის,—მოაგონდა გელას თავისი დღიური.

რეზომ სიცილით მიახალა:

— არც გეყოფა ეგ შენი პატარა უბის წიგნაკი.

— ნეტამც!—სიხარულით წამოიძახა გელამ.

ამ დროს ერთმა ბიჭმა მიმართა ამხანაგებს:



— დახედეთ, ეს ბრჭყვიალა ნამცეცები ოქროს არა ჰგვანან?

— უკვე იმდენი გვაქვს გადარჩეული, შესამოწმებლად იკმარებს.

— იკმარებს, იკმარებს,—გელაც დაეთანხმა. გადარჩეული ნამცეცები ყველამ გელასთან მიიტანა. კარგა ბლომად მოგროვდა ეს ბრჭყვიალა ნამცეცები. გელამ ხელით აწონდაწონა.

— განა ეს უბრალო რამ არის?! არა, ამხანაგებო, უთუოდ ოქროა, ოქრო. აი, რა მძიმეა.

უცებ გორაკის გადაღმიდან ყმაწვილებს ხმაური შემოესმათ. ყველამ ყურები დაცქვიტა. მალე სიტყვებიც გაარჩიეს— „მოიტაცა!“, „წაიღო!“, „გვიშველეთ!“.

— ნამდვილად ჩხერიმელა მოვარდა!—წამოიძახა რომელილაცამ.

გელას მთელი ყურადღება სწორედ იქით იყო მიპყრობილი, საიდანაც ხმაური მოდიოდა. მალე ტურისტებივით გამოწყობილი ახალგაზრდებიც გამოჩნდნენ, მორბიან, ყვირიან. ერთი ბიჭი გორაკზე გადმოდგა, წამით შეჩერდა, მერე სირბილით დაეშვა ქვემოთ, მდინარისაკენ, თან ამხანაგებს გადმოსძახა:

— ბიჭებო, რა მოხდა, რა მოხდა?!

— უცებ მდინარე მოვარდა, ჩვენი ამხანაგი მოიტაცა ჩქარა, ჩქარა, მოგვეშველე!—შეჰყვირეს ქვემოდან ბიჭებმა.

— რომელი მოიტაცა?

— გივი გოდერძიშვილი.

— ჩემი ამხანაგი, ჩემი ამხანაგი!—დაიღრიალა გელამ, ყველაფერი მიატოვა და რიყისაკენ დაეშვა. „მტკვრის არ მეშინია და ამას როგორ შევუშინდები?!“ ფიქრობს გელა და უკან აღარ იხედება. ერთ წამში ჩაირბინა იმ ადგილამდე, საიდანაც სილა აიღეს.

ბიჭმა უცებ ტანისამოსი გაიხადა და მდინარეში შესაცურებლად მოემზადა. ამასობაში ამღვრეული ჩხერიმელა ვიწროდან ფართოზე გამოვიდა, ტალახივით ამღვრეული მდინარე განიერ რიყეზე გაიშალა, არც ისე დიდი ჩანდა, როგორც გელა მოელოდა.

— მოაქვს. აი როგორ ამოტივტივდა. ხელებს იქნევს, ტანსაცმელი უშლის, ტალღებს ებრძვის!—ყვირიან რეზო და მისი ამხანაგები.

გელამაც დაინახა მდინარის ტალღებთან მებრძოლი გივი და მისკენ გაეშურა. მღვრიე ტალღებთან ბრძოლით გასავათებულ ბიჭს მალე მიუახლოვდა გელა, ხელი წაავლო, მაგრამ ვერ შეიკავა, მდინარემ აჯობა გელას, მეორედ ისე მაგრად ჩაეჭიდა, რომ ვეღარ დასძლია წყლის ტალღებმა. მალე სხვებიც მიეშველნენ და გალურჯებული გივი ნაპირზე გამოიყვანეს.

გივი მოასულიერეს... საწყალი ბიჭი ბურანიდან გვიან გამოერკვა, ჯერ კიდევ ხმას ვერ იღებს, განცვიფრებული შეჰყურებს გარშემოხვეულ ამხანაგებს, უყურებს გელას, მაგრამ აზრზე ვერ მოდის, თავი სიზმარში ჰგონია.

— გელა, რომ შენ არა, გივის ჩვენ ვერ გადავარჩენდით,—უთხრა ჯერ შიშით და მერე სიხარულით აცახცახებულმა ილიამ გელას.

ამას თვალი შეასწრო ხელმძღვანელმა და ილიას შეეკითხა:

— შენ იცნობ ამ ყმაწვილს?

— თანაკლასელები ვართ. გივი პირველი მოწაფე იყო. გელას ერთ საგანში ორი გამოჰყვა, ჩვენთან ვეღარ წამოვიდა. მე თბილისში მეგონა დარჩენილი, მაგრამ აი სად აღმოჩნდა.

გივი უფრო მოცოცხლდა, თვალებში შესცქეროდა გელას... მიხვდა, ვინ გადაარჩინა, გული აუჩუყდა, ცრემლებიც გადმოსცვივდა, სიტყვის თქმა უნდა, ძალა არ შესწევს.

გელა თითქოს მიუხვდა ამხანაგს;—დაიჩოქა, ცალი ხელი მკერდზე დაადო, მეორით შუბლზე ჩამოშლილი სველი თმა გაუსწორა. გულაჩუყებული ყმაწვილები გამოუთქმელი სიყვარულის გრძნობით შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზაქარია ფალიაშვილი

ფოტორეპროდუქცია
უ. ჯაფარიძის სურათიდან

# დიდი ქართველი კომპოზიტორი

ზაქარია ფალიაშვილის მუსიკა ღრმად შეიყვარა ხალხმა. მთელს საქართველოში იშვიათად ნახავთ ადამიანს, რაიმე ნაწყვეტი მაინც რომ არ იცოდეს ზეპირად ფალიაშვილის უკვდავი ოპერებიდან.

საქართველოს რომელ კუთხეშიაც არ უნდა მოხვდეთ, მატარებლით ან მანქანით მოგზაურობის დროს, გაკვეთილებს შორის შესვენებებზე, მინდვრად თუ ტყეში, ხშირად გაიგონებთ აბესალომის და მურმანის დუეტს, «სულო ბოროტოს», «დამისხი დამალევინეს», მალხაზის გამოსათხოვარ არიას, «თავო ჩემოს»... რომელთაც გატაცებით მღერის ხალხი. ასეთი დიდი პოპულარობა და სიყვარული უპირველესად ყოვლისა აიხსნება ფალიაშვილის მუსიკის ღრმა ხალხურობით. სწორედ ეს არის ძირითადი წყარო მისი ოპერების საოცარი მელოდიურობისა, მუსიკალური ფრაზის უშუალობის და ემოციურობისა, უაღრესად დახვეწილი რეალიზმის და სისადავისა.

როცა ფალიაშვილის მუსიკის ხალხურობაზე ვლაპარაკობთ, ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს მას ცალკეული ხალხური სიმღერა შეეტანოს ოპერებში პირდაპირ, დაუმუშავებლად. ფალიაშვილი შემოქმედებითად ჩაწვდა ქართულ ხალხურ მოტივებს, საფუძვლიანად შეისწავლა მისი არსი, თავისებურებანი და შემდეგ საოცარი ტალანტისა, გემოვნებისა და ზომიერების გრძნობის წყალობით, რაც უსათუოდ უნდა გააჩნდეს ყველა დიდ შემოქმედს, მან მოახერხა ხალხური და კლასიკური ელემენტის შერწყმა, ხალხური მოტივების კლასიკურ სიმაღლემდე აყვანა. ამიტომაც არის, რომ როდესაც ვისმენთ «აბესალომ და ეთერის» მესამე მოქმედების შესანიშნავ გუნდებს, და თუნდაც სხვა ნაწყვეტებს ფალიაშვილის ოპერებიდან, ჩვენ გვესმის არა რომელიმე ხალხური ჰანგი, არამედ საერთოდ ქართული სიმღერა, რომლისგანაც ხშირად შეუძლებელია რომელიმე ხალხური მოტივის გამორჩევა.

ზაქარია ფალიაშვილი დიდი ტალანტით იყო დაჯილდოებული, მაგრამ იგი ოდნავადაც არ გაუთამამებია ბუნებრივ ნიჭს. ამ მხრივ ის პირდაპირ სანიმუშოა ყველა ახალგაზრდისათვის. ვერავითარი ნიჭი ვერ გაიმარჯვებს, ვერ შექმნის უკვდავ ნაწარმოებს თუ თან არ ახლავს შრომისმოყვარეობა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება.

ზაქარია ფალიაშვილი პატარაობიდანვე მუსიკალურ გარემოში მოხვდა. მის მრავალრიცხოვან ოჯახში (ფალიაშვილს ჩვიდმეტი და-ძმა ჰყავდა) ყველას უყვარდა მუსიკა. ბავშვობისას იგი საათობით იჯდა ხოლმე კათოლიკურ ეკლესიაში და ჯერ უსმენდა, ხოლო შემდეგ თვითონვე უკრავდა ორღანზე. სპეციალურ სამუსიკო სასწავლებელში შესვლის შემდეგ, თითქმის არ დარჩენილა არც ერთი მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელსაც ის არ დაუფლებოდეს და ხშირად ორკესტრებში არ დაეკრას. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალი კომპოზიტორისათვის. გარდა მუსიკალური სმენისა, მას აღმოაჩნდა კარგი ხმა და გუნდში ერთ-ერთ წამყვან მომღერლად ითვლებოდა. ზაქარია მოწაფეობისას თვითონვე ხელმძღვანელობდა მომღერალთა გუნდებს და ხშირად მართავდა კონცერტებს ფართო საზოგადოების წინაშე. თავისი გუნდით საქართველოს ბევრი კუთხე შემოიარა, ჩამოაყალიბა საოპერო დასები და ხშირად მართავდა ხოლმე კონცერტებს მუშებისათვის. იგი ახალგაზრდობიდანვე მიეჩვია საზოგადოებრივ მოღვაწეობას და თავის საქმიანობას მუდამ საზოგადოებრივ, ინტერესებით განსაზღვრავდა ხოლმე.

თბილისის სამუსიკო სასწავლებელში მას გამოცდილი პედაგოგები ასწავლიდნენ, ხოლო აღნიშნული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, იგი ჩაირიცხა მოსკოვის კონსერვატორიაში, დიდი რუსი პედაგოგისა და კომპოზიტორის ს. ი. ტანეევის კლასში. მოსკოვში იგი უფრო საფუძვლიანად გაეცნო დიდი რუსი კომპოზიტორების შემოქმედებას და რუსული ხალხური მუსიკის საგანძურს. ტანეევი განსაკუთრებული გულისხმიერებით ეპყრობოდა თავის ნიჭიერ მოწაფეს. მოსკოვის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ფალიაშვილი საქართველოში დაბრუნდა. ს. ი. ტანეევთან გატარებული წლები მეტად მნიშვნელოვანი იყო მომავალი კომპოზიტორისათვის.

რუსეთიდან დაბრუნებული ფალიაშვილი თეორიულად უკვე მომზადებული იყო დიდი შემოქმედებითი მუშაობისათვის; მაგრამ იგი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა საქმეს, თავი ჯერ კიდევ არ მიაჩნდა საკმაოდ მომწიფებულად და კვლავ სწავლას განაგრძობდა, ამჯერად—სწავლობდა ხალხისაგან. ფალიაშვილი შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სამუსიკო სასწავლებელში, ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდები და ენერგიულად მოჰკიდა ხელი ქართული ხალხური სიმღერების ჩაწერა-შეგროვებას. მისებრ დიდი ღვაწლი ქართული ხალხური სიმღერების ჩაწერის საქმეში არავის გაუწევია. ფალიაშვილმა თავისი ფეხით შემოიარა მთელი საქართველო, ყოველი კუთხე, არ დარჩენილა სოფელი, სადაც მას ხალხური სიმღერა არ მოესმინოს და არ ჩაეწეროს. იგი აღტაცებული იყო ქართველი ხალხის მუსიკალური საგანძურით, რომელიც საუკუნეების განმავლობაში შრომასა და ბრძოლაში იქმნებოდა. «ამ 7-8 წლის განმავლობაში საქართველოს თითქმის არც ერთი კუთხე არ დამრჩენია, რომ არ მომევლოს და ადგილობრივ არ ჩამეწეროს ყველა ქართველი თემის ხალხური სიმღერები», წერდა იგი 1909 წელს. ამავე პერიოდში მას ალბათ უკვე ესახებოდა მისი მომავალი ოპერების გმირების ხასიათები, მაგრამ ოპერის დაწერას მაინც ვერ ბედავდა, თავი ჯერ კიდევ არ მიაჩნდა ამისათვის საკმაოდ მომწიფებულად.

ოპერისათვის ხელის მოკიდება თითქმის ძალით გაჰბედვინეს ფალიაშვილს. «აბესალომ და ეთერის» ლიბრეტოს ავტორი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე პ. მირიანაშვილი მოსვენებას არ აძლევდა, მუდამ დღე ჩასჩიჩინებდა, რომ ამ დიდ საქმეს შესდგომოდა. იგი გრძნობდა, რომ ზ. ფალიაშვილი სავსებით მომზადებული იყო დიდი ოპერის შესაქმნელად, ხოლო მისი გაუბედაობა მხოლოდ და მხოლოდ შემოქმედის ზედმეტი სიფრთხილითა და საქმისადმი უღრესად კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით აიხსნებოდა.

ზ. ფალიაშვილის პირველი ოპერა იყო «აბესალომ და ეთერი», რომლის მესამე მოქმედება და ნაწყვეტები ჯერ კიდევ 1913 წელს იქნა შესრულებული კონცერტებზე. ხოლო ოპერა პირველად დაიდგა 1919 წელს და მას შემდეგ აღარც ჩამოსულა სცენიდან. დანარჩენი ორი ოპერა ფალიაშვილისა—«დაისი» და «ლატავრა» დაიწერა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. «დაისი» დაიდგა 1923 წელს, ხოლო «ლატავრა» პირველად 1928 წელს იხილა მაყურებელმა.

ზაქარია ფალიაშვილის ოპერებს დიდი წარმატება ხვდათ წილად არა მარტო საქართველოში—თბილისის ოპერის სცენაზე, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებშიც. ხოლო «აბესალომ და ეთერმა» უფრო სერიოზული გამოცდა გაიარა: იგი დაიდგა საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სცენაზე და ზღაპრული წარმატებაც ერგო. ოპერა «აბესალომ და ეთერის» შესახებ «პრავდა» წერდა: «აბესალომ და ეთერი» კლასიკური ნაწარმოებია სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. იგი შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ მუსიკალური ხელოვნების ისეთ შედევრებს, როგორიც არის «აიდა» ვერდისა, «რუსლან და ლიუდმილა» გლინკასი, «თავადი იგორი» ბოროდინისა...» «ზ. ფალიაშვილის ოპერის ხალხურობა მდგომარეობს ცხოვრების ალალმართლობაში, ღრმა ადამიანურობაში, ბრძნულ უბრალოებაში, ოპერის ფორმის მხატვრულ სრულყოფაში»... ვკითხულობთ «ლენინგრადსკაია პრავდაში».

სწორედ ეს ბრძნული უბრალოება და სისადავე, მაღალი ჰუმანურობა და ცხოვრების ალალმართლობა, ღრმა ხალხურობა და ფორმის მხატვრული სრულყოფა გახდა მიზეზი ფალიაშვილის ოპერების ზღაპრული წარმატების და პოპულარობისა.

გარდა ზემოხსენებული სამი ოპერისა, ზაქარია ფალიაშვილს ეკუთვნის აგრეთვე კანტანტა მიძღვნილი ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავისადმი, ქართული სუიტა, რომანსები, საბავშვო სიმღერები, საგუნდო სიმღერები და სხვ. ამ ნაწარმოებთათვისაც იგივე ხალხურობა, მაღალჰუმანურობა, უშუალობა და უბრალოება არის დამახასიათებელი.

საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ფალიაშვილის მოღვაწეობას. მას მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება: თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს, სადაც პირველად დაიდგა ფალიაშვილის ოპერები, ზაქარია ფალიაშვილის სახელი მიეკუთვნა. ფალიაშვილის სახელი ეწოდა აგრეთვე რესპუბლიკის ქალაქების მთელ რიგ ქუჩებს, მუსიკალურ სასწავლებლებს. ფალიაშვილი დაკრძალულია თბილისის ოპერის ბაღში.

ორი ათეული წლის წინათ გარდაიცვალა ზაქარია ფალიაშვილი. მას შემდეგ მისი უკვდავი ნაწარმოებები კიდევ უფრო პოპულარული და საყვარელი გახდა საბჭოთა ხალხისათვის. გაივლის კიდევ მრავალი ათეული და ასეული წელი და ფალიაშვილის მუსიკა ასევე საყვარელი და მახლობელი იქნება მომავალი თაობებისათვის. ასეთია ბედი ყველა დიდი ხელოვანისა, რომლის შემოქმედების წყარო ხალხის გულიდან გამოდის.

ვახტანგ ჟღენტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# რა ვიკითხოთ

## მარკ ტვენი—„ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოსცა მარკ ტვენის წიგნი „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“. ეს წიგნი გაგრძელებას წარმოადგენს ამავე ავტორის ცნობილი ნაწარმოების „ტომ სოიერის თავგადასავლისას“, რომელიც რამდენჯერმე გამოვიდა ქართულ ენაზე და ნორჩმა მკითხველებმა სიყვარულით მიიღეს. „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“ ქართულად პირველად გამოიცა.




წიგნი დაწერილია ცოცხალი სასაუბრო ენით, ავტორისათვის დამახასიათებელი მსუბუქი ჰუმორითა და სისადავით. ყველაფერი უბრალოდ ხდება, ისე როგორც ცხოვრებაშია ხოლმე. მკითხველი ეცნობა წიგნის გმირების მეტად დახლართულ და საინტერესო თავგადასავალს. ხანდახან გმირები თითქოს გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, საშინელ ფათერაკში გაებმებიან და გამოსავალი კი არა სჩანს. მკითხველს გული წყდება, საშინლად განიცდის საყვარელი გმირების გასაჭირს და სულმოუთქმელად მიჰყვება სტრიქონებს, რომ მალე გაიგოს რა მოხდება. მაგრამ ტომ სოიერი და ჰეკლბერი ფინი ყოჩაღი ბიჭები არიან. მათ არა სჩვევიათ განსაცდელის დროს დაღონება და ყურების ჩამოყრა. მათი მახვილი გონება გასაჭირიდან მუდამ პოულობს გამოსავალს, ისინი მხნედ ებრძვიან განსაცდელს, შეუპოვრად მიიწევენ წინ, არ უშინდებიან და არ ერიდებიან სიძნელეს და ამიტომაც მუდამ იმარჯვებენ. სწორედ ამ შეუპოვრობითა და გამბედაობით უნდა აიხსნას ის საერთო სიყვარული და თანაგრძნობა, რასაც ისინი მკითხველში იწვევენ. „ტომ სოიერი“, და მისი გაგრძელება „ჰეკლბერი ფინი“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საბავშვო ნაწარმოებებია.

მაგრამ მარტო შეუპოვრობისა და მამაცობის გამო როდი უყვარს მკითხველს ასე თავგამოდებით ტომ სოიერი და ჰეკლბერი ფინი. მათ გააჩნიათ სხვა თვისებებიც—გულკეთილობა და ჰუმანურობა, ადამიანურობა. მარტო ის ფაქტიც, რომ ჰეკლბერი ფინმა თავის თანამგზავრად და მეგობრად ზანგი ჯიმი აირჩია—ბევრის მეტყველია. ჩვენი ბავშვებისათვის ეს, რა თქმა უნდა, სრულიად ბუნებრივი მოვლენაა: აბა რა მნიშვნელობა აქვს კანის ფერს! მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაა ამერიკაში, იმ ქვეყანაში, სადაც ამ ნაწარმოების გმირები მოქმედებენ. ჰეკლბერი ფინი იმდენად მოხიბლა ჯიმის გულკეთილობამ და პატიოსნებამ, რომ ერთხელ ლამის ფეხები დაუკოცნა ზანგს. ეს კი ამერიკაში შეუძლებელია. ზანგებს იქ სდევნიან, უმიზეზოდ ხოცავენ, შეურაცხყოფას აყენებენ; სწორედ ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ამ წიგნს ბურჟუაზია გაცოფებით შეხვდა, სასტიკად გაჰკიცხეს მისი ავტორი მარკ ტვენი, რომელიც ამ ნაწარმოებით რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ გამოვიდა.

ამ ნაწარმოებების გარდა, მარკ ტვენს სხვა მოთხრობები და წერილებიც აქვს, რომლებშიაც იგი კიდევ უფრო აშკარად და გაბედულად გამოდის ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თავს ესხმის და ამხილებს ბურჟუა-საქმოსნების გაიძვერობასა და არაადამიანურობას, მათ გახრწნილებასა და მორალურ გადაგვარებას. ტვენმა ბავშვობიდანვე საკუთარ თავზე გამოსცადა ცხოვრების მთელი სისასტიკე და ულმობელობა (ჯერ კიდევ სრულიად პატარა იყო, როცა მამა გარდაეცვალა და იძულებული გახდა ლუკმა-პურის მოსაპოვებლად მთელი ქვეყანა შემოევლო, უძნელესი სამუშაოები შეესრულებინა. ამიტომაც მან თავიდანვე კარგად განჭვრიტა ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი მანკიერება და მახვილი რეალისტური კალამი იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართა.

ერთი წაკითხვით ტვენის მოთხრობები იქნება სრულიად გულუბრყვილო, უვნებელ ხუმრობად მოეჩვენოს მკითხველს აბა ბურჟუაზიულ საზოგადოების რა დიდი კრიტიკა უნდა იყოს თუნდაც პატარა მოთხრობაში „ცოცხალია თუ მკვდარი“ ან მეორე, კიდევ უფრო პატარა ნაწარმოებში „მხტუნავი ბაყაყი“?! პირველში „სასაცილოდაა“ მოთხრობილი, როგორ შიმშილობდნენ ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრები; ხოლო შემდეგ, საკმარისია ერთ-ერთ ამხანაგს გვარი შეუცვალონ, მკვდრად გამოაცხადონ და მის ნამუშევრებს რეკლამა გაუკეთონ, რომ ის სურათები, რომლებშიაც ძველად ერთი თავი კომბოსტოს ფასსაც კი არ აძლევდნენ, ახლა ხელოვნების შედევრებად აღიარონ და ათიათასობით დოლარად შეიძინონ.

ამ „უბრალო“ ხუმრობაში ღრმა აზრი იმალება. აქ აშკარად ჩანს, თუ რა „გასაქანი“ აქვს ნამდვილ ხელოვნებას ბურჟუაზიულ სამყაროში. როგორია იქ ჭეშმარიტი ხელოვანის ბედი. ასევე, მეორე მოთხრობაში ნაჩვენებია ბურჟუაზიული „სპორტის“ ნამდვილი სახე.

საქმე ისაა, რომ მარკ ტვენს თავისებური მანერა აქვს წერისა. იგი თითქოს გულუბრყვილოდ ხუმრობს, უბრალოდ იცინის და თითქოს ფიქრადაც არ აქვს ბურჟუაზიული საზოგადოების შერცხვენა. სინამდვილეში კი ეს არის საშინელი, ულმობელი სატირა. დიდი ინგლისელი მწერალი ბერნარდ შოუ წერდა ტვენის შესახებ: „იგი იმგვარად გვიხატავს ყველაფერს, თითქოს ხუმრობდეს, ასე აჩვენებს ხალხს, რომელიც მას წინააღმდეგ შემთხვევაში ჩამოახრჩობდაო“.

იგივე ამბავია აქაც, „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალშიც“, სადაც თითქოს მხოლოდ ბავშვის საინტერესო თავგადასავალია აღწერილი და სხვა არაფერი. ამ მოთხრობაშიც, გარდა იმისა, რომ მარკ ტვენი ამჟღავნებს ბავშვის ფსიქოლოგიის შესანიშნავ ცოდნას და დიდ მწერლურ ოსტატობას, იგი ამავე დროს გვევლინება თავისუფლების მომღერლად, რასობრივი დისკრიმინაციისა და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლად. ეს კიდევ უფრო საინტერესოსა ხდის ნაწარმოებს.

წიგნი ქართულად თარგმნილია თამარ დიასამიძის მიერ, რედაქტორია ნინო რაზიკაშვილი. მთარგმნელმა და რედაქტორმა დიდი მუშაობა ჩაატარეს, რათა მარკ ტვენის ამ შესანიშნავი მოთხრობისათვის შეენარჩუნებინათ ის სილაღე, თავისუფალი მდინარება და სიმსუბუქე, რაც მას ორიგინალში გააჩნია.

ვ. გიორგობიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოკლედ ყველაფერზე

## ქაღალდი — საშენი მასალა

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც საბჭოთა ინჟინრებმა გამოიგონეს ახალი საშენი მასალა—ბემიტი. იგი წარმოადგენს დიდი წნევის ქვეშ დაწნეხილ ქაღალდის ნაკუწებს. ბემიტის დასამზადებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე ჩალა, ლელი, ნახერხი და სხვ. ესე იგი ყველა ის მასალა, რისგანაც ქაღალდი მზადდება.

ბემიტს—როგორც საშენ მასალას მრავალი ძვირფასი თვისება აქვს: იგი სითბოს ცუდი გამტარია, სიმაგრით ხის საუკეთესო ჯიშებს არ ჩამოუვარდება, ადვილი დასამუშავებელია და დაწნეხვის დროს შეუძლია ყოველგვარი ფორმის მიღება. ხშირ შემთხვევაში სახლები მთლიანად ბემიტისაგან მზადდება, ე. ი. სახლს ექნება ბემიტის კედლები, მისივე იატაკი, სხვენი, სახურავი ასეთი შენობის კედლები ჩვეულებრივზე ორჯერ უფრო თხელი გამოდის, სითბოს კი სხვაზე მეტად ინახავს.

## „მაიმუნის ქოთნები“

ბრაზილიის ხელუხლებელ ტყეებში, ამაზონკას ნაპირებზე ხარობს დიდი ხე, რომელიც ეკუთვნის ტვიების ოჯახს. ამ ხის ნაყოფი მომცრო ნესვის ოდენაა და ძალიან მოგვაგონებს თავსახურავიან ქოთანს. «ქოთანში» იმყოფება 15—20 ცალი ზეთოვანი, ძალიან გემრიელი თესლი, რომელიც ცნობილია ბრაზილიაში «სამოთხის კაკლის» სახელწოდებით. როდესაც თესლი მწიფდება, ნაყოფს ზედა ნაწილზე მოთავსებული თავისებური სახურავი მოძვრება და თესლი გადმოიბნევა.

ამ ნაყოფის მაგარ გარსს მოსახლეობა ხმარობს ჭურჭლად. ამ ქოთნებით პატარა მაიმუნებსაც იჭერენ. ალბათ ამიტომ უწოდა ხალხმა ამ ნაყოფს «მაიმუნის ქოთანი». ქოთნის ძირში ჩადებენ რამდენიმე კაკალს, ტკბილ ნაყოფს, ან სხვა რაიმე საწუწკარს. ჩაჰყოფს რა ქოთანში ხელს მაიმუნი, ჩაბღუჯავს კაკლებს, მაგრამ იქიდან მომუჭული ხელი ვეღარ ამოეტევა. ასე იჭერენ მას.



სურათზე: «მაიმუნის ქოთნები».



## ბგერის შთამნთქმელი ფილები

ჩვეულებრივი ნაბიჯი საკმაო ხმაურს ჰქმნის ცარიელ დარბაზში. მაგრამ თუ ოთახის ჭერი და კედლები ქსოვილითაა დაფარული, მაშინ საბეჭდი მანქანის კაკუნიც კი ძნელი გასაგონია. ბგერითი ტალღები კარგად ირეკლებიან გლუვი ზედაპირიდან და პირიქით — ინთქებიან ქსოვილის ნაოჭებში.

თავიდან რომ აეცილებინათ ბგერების არეკვლა, მოსკოვის უნივერსიტეტის ახალი შენობის მშენებლებმა აუდიტორიების ჭერისა და კედლების მოპირკეთებისათვის გამოიყენეს ბგერის შთამნთქმელი ფილები რომლებიც მყარ, პოროვან მასალისაგან არიან გაკეთებულნი.

ბგერითი ტალღები, გაივლიან რა პორებისაგან შედგენილ ლაბირინტს, ქრებიან და თითქმის სრულიად არ ირეკლებიან. იმ აუდიტორიებში, რომელთა ჭერი და კედლები ასეთი ფილებით არის მოპირკეთებული, კარგად ისმის ლექტორის ხმა. მას არასოდეს არ უხდება ხმამაღლა ლაპარაკი.

## „ცის გახსნა“

ჩვენში ბამბა პირველად ტაჯიკეთში მოაშენეს. აბისინიიდან შემოტანილმა ჯიშმა «ეგვიპტელმა კეთილშობილმა» ტაჯიკეთში თავი ისე ისახელა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მისი თესვის არე სწრაფად გაფართოვდა. ბამბის თესვა დაიწყო: ყირიმში, აზოვ-შავი ზღვის მხარეში და ჩრდილოეთ კავკასიაში.

სითბოს მოყვარულმა აბისინიელმა ახალსა და გრილ ადგილებში თავი ცუდად იგრძნო...

მცენარეს აქ რაღაც გაუჭირდა, მოიწყინა და კუკურები სულ ჩამოცვივდა... მშველელი იყო საჭირო.

ტროფიმე დენისის-ძე ლისენკო თავდადებით ეძებდა მიზეზს. იგი ბამბის ნათესებში ათენებდა და აღამებდა...

ერთ მშვენიერ დღეს ბამბის უამრავ ბუჩქთა შორის მეცნიერის თვალმა სამი შემთხვევით წვერგადამტვრეული ბუჩქი შეამჩნია; ისინი კუკურებით დაყურსულიყვნენ.

ამის შემჩნევისთანავე ტროფიმე დენისის-ძემ გაიფიქრა:

«კენწეროში მიდის მცენარის აღსაზრდელად საჭირო საკვებ ნივთიერებათა უმეტესი ნაწილი... კუკურები კი წარმოიშვება გვერდით ტოტებზე, სადაც ნაკლები საკვები იგზავნება, ისინი იმშევიან, სუსტდებიან და ცვივიან კიდეც... მცენარისასთვის საჭირო პირობები სათბურებში ყველასათვის ერთნაირია, მაგრამ წვერწამტვრეულებმა შეინარჩუნეს კუკურები, დანარჩენებმა კი ვერა. მაშასადამე, აქ მიზეზი ბამბის კენწეროა, რომელიც გაუმაძღრად ართმევს საკვებს კუკურებს».

მეცნიერმა დაასკვნა, რომ საჭიროა მოისპოს მცენარის წვერო. მაშინ საკვები ნივთიერებანი წავლენ გვერდითი, სანაყოფო ტოტებში, რომელზეც ვითარდება ბამბის თეთრი, თოვლის ფიფქივით სუფთა და ნაზი კულულები.

ასეც მოიქცა. შედეგი საოცარი იყო. მცენარიდან კუკურების ცვენა შეწყდა...

1936 წელშივე ტ. დ. ლისენკომ ორი თვის განმავლობაში ათასამდე აგრონომს და თვრამეტი ათასს კოლმეურნე-მერგოლურს შეასწავლა ბამბის მცენარის «ცის გახსნა».

ბამბის ბუჩქის «ცის გახსნის» მეთოდმა მოსავლის ზრდასთან ერთად გაზარდა ბამბის ხარისხიც, იმიტომ, რომ «ცა გახსნილ» ბამბის ნაყოფი მომწიფდა ადრე, — ყინვამდე. «ცის გახსნამ» გაადვილა აგრეთვე მოსავლის აღების საქმე, რადგან მცენარის ტოტებზე ბამბის კოლოფები ბუჩქს ესხა თავმოყრილად, მჭიდროდ, ერთ ადგილზე, რომლის შეგროვებაზეც ნაკლები დრო და შრომა იხარჯება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა




# შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

ოთარ ჭელიძე—ახალგაზრდობის ფესტივალზე (ლექსი) . . . . . . . . . . 1
მშვიდობა და მეგობრობა (წერილი) . . . . . . . . . . . . . . . 2
ნ. რამიშვილი, ი. სუხიშვილი—მეგობრობის დღესასწაულზე (წერილი) . . . . . 5
ალექსანდრე აბაშელი—ფრთები (ლექსი) . . . . . . . . . . . . . 6
არჩილ სულაკაური—კომკავშირში მიღება (ლექსი) . . . . . . . . . . 6
თენგიზ გოგოლაძე—კეთილი განზრახვით (მოთხრობა) . . . . . . . . . 7
ზურაბ კუხიანიძე—ოლეგის სახელით, ზოიას სახელით (ლექსი) . . . . . . 13
თამაზ ჭილაძე—სიმღერა უკვდავებაზე (ლექსი) . . . . . . . . . . 13
გრიგოლ გვაძაბია—მხნედ მივაბიჯებთ მზეჭაბუკები (ლექსი) . . . . . . . 13
ჯიმშერ ენუქიძე—მოგზაურობა ვოლგა-დონზე (ნარკვევი) . . . . . . . . 14
იულიუს ფუჩიკი—საკანი № 267 (ნაწყვეტი წიგნიდან „რეპორტაჟი სახრჩობელადან“ თარ-
გმანი ირ. ქავჟარაძისა) . . . . . . . . . . . . . . . . . 20
გრიგოლ იმედაძე—კომბაინერის შვილი (ლექსი) . . . . . . . . . . 23
ლავრენტი ჭიჭინაძე—თანაკლასელები (მოთხრობა) . . . . . . . . . . 24
ვახტანგ ჭელიძე—დიდი ქართველი კომპოზიტორი (წერილი) . . . . . . . 28
ვ. გიორგობიანი—„ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“ (წერილი) . . . . . . 30
მოკლედ ყველაფერზე — ა) ქაღალდი — საშენი მასალა, ბ) მაიმუნის ქოთნები, გ) ბგერის
შთამნთქმელი ფილები, დ) ცის გახსნა . . . . . . . . . . . . . 31
კ რ ო ს ვ ო რ დ ი . . . . . . . . . . . . . . . . . . გარეკანის მე-3
პ ა ს უ ხ ე ბ ი თ ა ვ ს ა ტ ე ხ ე ბ ზ ე . . . . . . . . . . . . გარეკანის მე-3

გარეკანის პირველ გვერდზე—„რთველში“ ნახატი რ. ცუცქირიძისა, გარეკანის მეორე გვერდზე—
შ. ცხადაძის პლაკატის—„ჩვენი ვალია—ვისწავლოთ ფრიადზე!“ ფოტორეპროდუქცია.
გარეკანის მეოთხე გვერდზე—„ბოტანიკურ ბაღში“ ფერადი ფოტო გ. რაზმაძისა.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: უ. ჯაფარიძის, რ. ცუცქირიძის, ალ. ბანძელაძის, კ. მახარაძის და ზ. ლეჟავას მიერ.

რედაქტორი რევაზ მარგიანი. სარედაქციო კოლეგია: რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, ბ. შელია, ვ. ჭელიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი.

რ ე დ ა ქ ც ი ა შ ი შ ე მ ო ს უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი ა ვ ტ ო რ ე ბ ს ა რ უ ბ რ უ ნ დ ე ბ ა თ.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. Октябрь, № 10, 1953.
Тбилиси, Ленина, 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85.

უე 12670 ტირაჟი 15.000 გამომც. შეკვ. № 318 სტამბის შეკვ. № 1109. პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გასართობი

## კროსვორდი



### ჰორიზონტალურად

1. უცნობი სიდიდის აღნიშვნა მათემატიკაში, 5. გალვანური ელემენტის უარყოფითი პოლუსი, 8. ანბანის შემადგენელი ნაწილი, 11. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში, 13. წესიერი მრავალკუთხედის ცენტრიდან მის გვერდზე დაშვებული პერპენდიკულარი, 16. ქალაქი იაპონიაში, 17. მდინარე გერმანიასა და პოლონეთის საზღვარზე. 18. ბერძნული ანბანის ბოლო ასო, 23. დემოკრატიული სახელმწიფო ევროპაში, 24. დიდი სამამულო ომის გმირი ქალის სახელი, 25. მოვლენათა განვითარების ერთ-ერთი საფეხური, 26. მუსიკალური ნაწარმოების ერთ-ერთი ფორმა, 27. ქალაქი ეგვიპტეში, 28. დამხმარე თეორემა მათემატიკაში, 31. ადმინისტრატიული დანაყოფი, 34. ლურჯად მღებავი ნივთიერება, 36. მოქმედების სიჩქარის ხასიათი, 37. ხმის ასამაღლებელი ნიშანი მუსიკაში, 39. მცენარეთა სამეფო, 40. ტალღების მიერ ზღვისნაპირის წარეცხვა-წალეკვა, 43. არჩეულ პირთა კრებული რაიმე საქმის განსახილველად, 45. მიწის ფართობის საზომი ერთეული, 46. ბეჭდვითი გამოცემის რაოდენობა, 47. პერსონაჟი შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტიდან".

### ვერტიკალურად

2. მზის სისტემა, 3. ქიმიური შენაერთი, 4. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე, 5. ქიმიურ ლაბორატორიაში გამოსაყენებელი ჭურჭელი, 6. ტექნიკური კულტურა, 7. ელექტროდენით მკურნალობა, 9. მინერალური სასუქი, 10. სინდიყში გახსნილი ლითონი, 12. ცნობილი ილუზიონისტი სსრ კავშირში, 14. ხვედრი, წილი, საწევრო, 15. სიგრძის საზომი ძირითადი ერთეული, 19. ვულკანური წარმოშობის მაგარი ქანი, 20. პერიოდულად გამოცემული ხალიტერატურო, სამეცნიერო კრებული, 21. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, 22. მაგარი საალმშენებლო მასალა, 29. ზომიერი ტემპის აღნიშვნა მუსიკაში, 30. მდინარე სსრ კავშირში, 32. უმაღლეს ჯილდომიღებული პირი, 33. მეთხუთმეტე საუკუნის ცნობილი პოლონელი ასტრონომი, 35. ასტრონომიული ხელსაწყო 37. აბრეშუმის ქსოვილი, 38. გამოძახილი, 41. აფრიკის ცხოველი, 42. ციმბირის ნაწილი, 43. პერსონაჟი ოპერა „ჯამბაზებიდან", 44. ელექტრომაგნიტური სატელეგრაფო აპარატის გამოგონება.

შეადგინა რ. თავდიდიშვილმა

* * *

## პასუხი ჟურნალ „პიონერის" № 8 მოთავსებულ თავსატეხებზე




რიცხვები 5, 10, 15, 20, 25, 30, 35, 40, 45, 50 უნდა განლაგდეს ისე, როგორც ნაჩვენებია ნახატზე, რათა თითოეულ კვადრატში, ასევე თითოეულ წრეში და წყვეტილით აღნიშნულ ღერძის ხაზზე მივიღოთ ჯამი—100.



მოცემულ კვადრატში თუ ისე გავავლებთ ოთხ სწორ ხაზს, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები, მივიღებთ ცხრა ნებისმიერ ნაწილს და თითოეულ მათგანში მოთავსებული იქნება მხოლოდ ოთხი ყვავილი.

საჯარო ბიბლიოთეკა

ფასი 2 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

